

ლალი გუჯეჯიანი

STსეგმენტის ელევაციით მიმდინარე მწვავე კორონარული
სინდრომის დროს კანგავლითი კორონარული ინტერვეციის
შემდგომი გამოსავლის გენდერული განსხვავებები

დისერტაცია

წარმოდგენილია მედიცინის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:

პროფესორი ზ.ფაღაგა

ასოც. პროფესორი ნ.შარაშიძე



თბილისი
2015

სარჩევი

შესავალი	4
თავი I	
ლიტერატურის მიმოხილვა.	9
I. 1. კარდიოვასკულური სისტემის ზოგადი მორფო-ფუნქციური გენდერული განსხვავებები	
I.2. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გამოვლინებათა და მიმდინარეობების თავისებურებები ქალებში.	
I. 3. რისკ-ფაქტორები	
I.4. კორონარული სისხლძარღვების ანატომიის (დაზიანების) გენდერული თავისებურებები.	
I.5. კო-მორბიდების გენდერული განსხვავებები.	
I.6. მიოკარდიუმის ინფარქტის გამოსავლის გენდერული განსხვავებები . . .	
I.6.1 მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის PCI –ის შემდგომი გამოსავლის განსხვავებები	
I.6.2 რე-სტენოზის გენდერული განსხვავებები.	
I.7. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გენდერული განსხვავებების მნიშვნელოვანი კვლევები.	
I.8. თერაპიული ტაქტიკის გენდერული განსხვავებები.	
თავი II	
კვლევის მასალა და მეთოდები31

თავი III

საკუთარი კვლევის შედეგები

3.1. კომორბიდული სპექტრის პროგნოზული მნიშვნელობის გენედერული

მახასიათებლები STEM-ის მქონე პაციენტებში. 38

3.2. სტენტირების გამოსავლის ფარდობითი შანსის შეფასება სქესის მიხედვით.

.45

3.3. სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა რისკის ფაქტორთა შეფასება

სქესის მიხედვით STEM-ის დროს.54

3.4. ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის პროგნოზული მნიშვნელობა

ჰოსპიტალური სიკვდილობის თვალსაზრისით STEM-ის დროს სქესის

მიხედვით.70

თავი IV

შედეგების განხილვა.78

დასკვნები.87

პრაქტიკული რეკომენდაციები. 89

ლიტერატურა. 90

შესავალი

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დღემდე რჩება სიკვდილობისა და ინვალიდობის დომინანტურ მიზეზად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში [117].

განსაკუთრებით დრამატულია ST სეგმენტის ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის მიმდინარეობა და გამოსავალი.

სიკვდილის რისკი როგორც წესი, დაკავშირებულია სამიზნე სისხლძარღვის ოკლუზიასთან[51,67]. რისკის ფაქტორებია: ხანდაზმული ასაკი, ქალთა სქესი, შაქრიანი დიაბეტი, მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანება, გადატანილი მმი, თირკმელის დისფუნქცია [147]. უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევების შედეგები სქესის მიხედვით მმი-ს შემდეგ სიკვდილობის თვალსაზრისით ურთიერთსაწინააღმდეგოა [151,200,131,93,12]. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით გააჩნიათ უარესი როგორც ახლო, ისე შორეული პროგნოზი [94], ზოგიერთი ავტორის აზრით გენდერული სხვაობა დამოკიდებულია ასაკზე [204]. National Heart Lung and Blood Institute (NHLBI)-ის მონაცემებით, PCI-სთან დაკავშირებული განსხვავებებების მიზეზია ქალთა უფროსი ასაკი, მათ შორის უფრო მეტადაა გავრცელებული მძიმე და არასტაბილური სტენოკარდია, არტერიული ჰიპერტენზია[150]. ასაკისა და რისკის ფაქტორების მიხედვით შესწორების შემდეგ სტემის მქონე პაციენტებში ლეტალობის თვალსაზრისით სქესთა შორის განსხვავება არ გამოვლინდა, ან ნაკლები იყო ქალებში [118,58,35].

კორონარული რევასკულარიზაციის ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად ითვლება კორონარული არტერიის დაზიანებული სეგმენტის სტენტირება. კორონარული სტენტირების მეთოდის იძლევა სისხლის მიმოქცევის ეფექტურად აღდგენის საშუალებას მწვავე ინფარქტის პირველივე საათებში (6-12სთ) ინფარქტზე პასუხისმგებელ (ინფარქტ დამოკიდებულ) არტერიაზე, რაც უშლის მიოკარდის დაზიანების ფართობის გაზრდას, მიოკარდის პათოლოგიურ რემოდელირებას [210], სარწმუნოდ ამცირებს კარდიალური გართულებების სიხშირეს და ლეტალობის დონეს [201,202]. ეფექტურობა განპირობებულია მცირე ტრავმატულობით და გართულებათა დაბალი სიხშირით. უკანასკნელ ხანებში ტექნიკური პროგრესი განაპირობებს მინიმალურ პროცედურულ პრობლემებს, თუმცა პაციენტთა გარკვეულ ნაწილს აღენიშნება პერიპროცედურული გართულებები.

მიოკარდის დაზიანება კორონარულ არტერიაზე ჩარევის დროს ხდება შემთხვევათა 10-40%-ში და ხშირად ხასიათდება მიოკარდის ნეკროზის მარკერების მცირე მომატებით, სიმპტომების გარეშე [131,133,145].

ზოგიერთი კვლევის მიხედვით ქალთა სქესი კორელირებდა PCI-ის ნაკლებ წარმატებასთან, აღნიშნავენ პერიპროცედურული გართულებების განსხვავებას სქესის მიხედვით - ქალებში უფრო მაღალია პერიპროცედურული დისსექციის სიხშირე[53], ხოლო მამაკაცებში სტენტრომბოზი [191].

ბიოქიმიური მარკერი ტროპონინი I წარმოადგენს მიოკარდის დაზიანების მგრძობიარე მარკერს. ტროპონინის საწყისი მაჩვენებელი წარმოადგენს რაოდენობრივ მახასიათებელს, რომელიც აფასებს იშემიის ხანგრძლივობას და მიოკარდის დაზიანების ხარისხს[71]. ამასთანავე, ტროპონინების მაღალი დონე წარმოადგენს პერიპროცედურული ინფარქტის რისკის ფაქტორის როგორც PCI-ს დროს[203], ისე PCI-ის შემდგომ პერიოდში [138]

TnT-ს მომატება მოიაზრება ლეტალობის პროგნოზულ ფაქტორად STEM-ის დროს [172,141,142], თუმცა ტროპონინის მომატებასა და ლეტალობას შორის კავშირის ძირითადი მექანიზმები სრულად არ არის გარკვეული. არ არის ცნობილი ტროპონინის მატების გენდერული განსხვავებები STEM-ის დროს, არ არის დადგენილი ტროპონინის ტესტის მგრძობელობა, სპეციფიურობა და პროგნოზული ღირებულება ჰოსპიტალური ლეტალობისათვის სქესის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მიმდინარეობს პერიპროცედურული გართულებების კვლევა, მცირე და ურთიერთსაწინააღმდეგოა მონაცემები როგორც გართულებათა გენდრულ განსხვავებაზე, ისე მათი პრედიქტორების შესახებ [145,101,181,183].

დაავადების მიმდინარეობა და გამოსავალი გარკვეულწილად დამოკიდებულია პოპულაციის დემოგრაფიულ და ეთნიკურ თავისებურებებზე. დღეისათვის არ არის ცნობილი STEM-ის პრედიქტორები და გენდერული მახასიათებლები საქართველოს პოპულაციაში, არ არის დადგენილი გართულებათა და ლეტალობის რისკის ფაქტორები სქესის მიხედვით, აქტუალურად მიგვაჩნია STEM-ის გამოსავლის მახასიათებლების შესწავლა ლოკალურ პოპულაციურ ჯგუფში, რამდენადაც მიოკარდიუმის ინფარქტის

მკურნალობის სტრატეგია დიდწილად არის დამოკიდებული რისკის სტრატეფიკაციაზე,

ჩვენი კვლევის მიზანია

ST- ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის გამოსავლის გენდერულ განსხვავებათა შეფასება პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ პირველადი კანგავლითი კორონარული ინტერვენცია - კორონაროპლასტიკა სტენტირებით.

ამოცანები:

1. კომორბიდული სპექტრის პროგნოზული მნიშვნელობის გენდერული თავისებურებების დადგენა STEM-ის მქონე პაციენტებში;
2. პაციენტთა კომორბიდულ მახასიათებლებსა და დაავადების გამოსავალს შორის კორელაციების შეფასება ;
3. სტენტის იმპლანტაციის ახლო და შორეული შედეგების გენდერულ სხვაობათა შეფასება STEM-ის მქონე პაციენტებში;
4. სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა პრედიქტორების შეფასება სქესის მიხედვით;
5. სტენტირების არაკეთილსაიმედო გამოსავლის რისკის სტრატეფიკაცია სქესისა და ასაკის მიხედვით.
6. ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის პროგნოზული ღირებულების დადგენა STEM-ის დროს ჰოსპიტალური ლეტალობის თვალსაზრისით ორივე სქესის ინდივიდებში..

მეცნიერული სიახლე:

პირველად საქართველოში:

1. შეფასდა STEM-ის კომორბიდული მახასიათებლები სქესისა და ასაკის მიხედვით

2. განხორციელდა ST-ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის გამოსავლების შედარება სქესისა და ასაკის მიხედვით პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ პირველადი კანგავლითი კორონარული ინტერვენცია.
3. განისაზღვრა კორელაციური კავშირი პაციენტთა კომორბიდულ მახასიათებლებსა და დაავადების გამოსავალს შორის;
4. ჩატარდა სტენტის იმპლანტაციის პერიპროცედურული გართულებების გენდერულ სხვაობათა შეფასება ST ელევაციის მქონე პაციენტებში;
5. დადგინდა სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა პრედიქტორები სქესის მიხედვით;
6. განისაზღვრა ტროპონინის ინიციალური მაჩვენებლის მგრძნობელობა, სპეციფიურობა და პროგნოზული ღირებულება STEM-ის დროს ჰოსპიტალური ლეტალობის თვალსაზრისით.

პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის პრაქტიკულ გამოსავალს წარმოადგენს ST- ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე პაციენტებში ლეტალობისა და PCI-ს გართულებების რისკის გენდერულ განსხვავებათა შეფასება, რაც ხელს შეუწყობს რისკის ჯგუფის დადგენას და გამოსავლის პროგნოზირებას ორივე სქესის ინდივიდებში. გამოვლინდება პირველადი კანგავლითი ინტერვენციის შემდგომ დაავადების გამოსავლის სქესთან ასოცირებული თავისებურებები. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს მწვავე კორონარული სინდრომის მიმდინარეობისა და გამოსავლის გენდერულ განსხვავებებთან დაკავშირებული რიგი კონტროლერსული ასპექტების დაზუსტებას.

შრომის შედეგების საფუძველზე შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები, ძირითადი დასკვნები და შედეგები გამოყენებული იქნება კარდიოლოგიურ კლინიკაში გართულებისა და ლეტალობის რისკის პრევენციისათვის ორივე სქესის ინდივიდებში..

პუბლიკაციები:

დისერტაციის მიხედვით გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი.

ნაშრომის აპრობაცია:

დისერტაციის ძირითადი დებულებები მოხსენებულია სამ სამეცნიერო კონფერენციაზე, ხუთ კონგრესზე.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი წარმოდგენილია ქართულ ენაზე ნაბეჭდი 113 გვერდით, მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, მასალისა და მეთოდების დახასიათებას, საკუთარი გამოკვლევების 4 თავს, მიღებული შედეგების ანალიზს, გამოყენებული ლიტერატურის სიას. ნაშრომში წარმოდგენილია 31 ცხრილი, 8 დიაგრამა,

ბიბლიოგრაფია მოიცავს 217 ლიტერატურულ წყაროს.

თავი I

ლიტერატურული მიმოხილვა

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე დრამატულად შეიცვალა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების კვლევისა და მკურნალობის მეთოდების შესაძლებლობები. მიხედვად ამისა, აღნიშნული დაავადებები კვლავ რჩება სიკვდილობისა და ინვალიდობის დომინანტურ მიზეზად. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში [117]. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით კარდიოვასკულარული

დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის ნახევარზე მეტს შეადგენს გულის იშემიური დაავადებით გამოწვეულ სიკვდილობა [116,207]. აშშ-ში მწვავე კორონარული სინდრომი ყოველწლიურად თითქმის 2 000 000-მდე ადამიანს უვითარდება, აქედან STEMI აღენიშნება დაახლოებით 500 000 ადამიანს [3]. ევროპული მონაცემებით STEMI –ის შემთხვევაში სიკვდილიანობა თვეში შეადგენს 30-50%-ს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ევროპაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილობის სიხშირემ ქალებში გადააჭარბა ანალოგიურ მაჩვენებელს მამაკაცებში (55 და 43%)[82]. მიუხედავად ჰოსპიტალური ლეტალობის კლებისა, ქალები, მოხუცები და პაციენტები თანდართული დაავადებებით მაინც რჩებიან არაკეთილსაიმედო რისკის პროგნოზის ჯგუფში [158,38,112]. რუსეთში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებით გამოწვეული სიკვდილობა 3-ჯერ აღემატება იგივე მაჩვენებელს დასავლეთ ევროპაში [207].

ჯანმოს ევროპული განყოფილების მონაცემებით საქართველოში ყოველწლიურად გულის კორონარული დაავადებით კვდება დაახლოებით 6600 პაციენტი. მწვავე კორონარული სინდრომი ყოველწლიურად უვითარდება 25000 ადამიანს. STEMI - დაახლოებით 6600 ადამიანს(რომელთა 30-50% კვდება 1 თვეში), საქართველოში ყოველ 40 წუთში რომელიმე ადამიანს ემართება MI, ხოლო ამ დაავადებით კვდება 1 პაციენტი ყოველ 80 წუთში [1,2].

უკანასკნელ ხანებში აქტიურად განიხილება კარდიოვასკულურ დაავადებათა გენდერული ასექტები [171,185,148,137,156]. მოიპოვება მონაცემები მამაკაცებსა და ქალებს შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ფაქტორების, კლინიკურ გამოვლინებების, დიაგნოსტიკური და სამკურნალო მიდგომების განსხვავებების შესახებ [111]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ცოდნის გარკვეული დეფიციტი ქალთა შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, რომ წლების განმავლობაში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების კვლევები ძირითადად ფოკუსირებული იყო მამაკაცებზე. როგორც შედეგი ქალთა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შესახებ გათვითცნობიერება ჩამორჩება არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ პროფესიონალთა შორისაც [48]. აღნიშნული პრობლემის

დაძლევის მიზნით შემუშავებული იყო ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების პროგრამა – Red in Women (2004), ამერიკის გულის, ფილტვისა და სისხლის ინსტიტუტის პროექტი the heart truth campaign, და ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების პროგრამა – Women at Heart (2005წ).

პრობლემურია არა მარტო რისკის სტრატეგიკაცია, კლინიკური სურათის და სადიაგნოსტიკო ტესტების ინტერპრეტაცია, არამედ მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა. თუმცა სამკურნალო მეთოდებების მხოლოდ მცირე რაოდენობისათვის არსებობს მტკიცებულებები ქალთა შორის მათი გამოყენების ეფექტურობის შესახებ [91,12].

I. 1. კარდიოვასკულური სისტემის ზოგადი მორფო-ფუნქციური გენდერული განსხვავებები

ფიზიოლოგიური სხვაობა: სპეციფიური ფიზიოლოგიური განსხვავება სქესთა შორის მოიცავს: მასის მცირე ინდექსს, გულისა და კორონარული სისხლძარღვების [188], ასევე სხვა ორგანოების მცირე ზომებს მამაკაცებთან შედარებით [119,108], რაც გავლენას ახდენს ფარმაკოლოგიური პრეპარატების განაწილებაზე [103]. ამასთან ქალებს გააჩნიათ უფრო მეტი ცხიმოვანი ქსოვილი, რაც ზრდის ლიპოტროპული პრეპარატების მოქმედებას [128]. ქალებს გააჩნიათ გლომერულური ფილტრაციის და კრეატინინის კლირენსის უფრო დაბალი დონე, ვიდრე მამაკაცებს. ასევე მნიშვნელოვანია ჰორმონული სხვაობა (ესტრადიოლის სიჭარბე ქალებში და ტესტოსტერონის – მამაკაცებში) [161,179]. ქალის გული უფრო მცირე ზომისაა, გულის კუმშვის სიხშირე მოსვენებულ მდგომარეობაში ქალებში წუთში 3-5 –ით მეტია, ვიდრე მამაკაცებში, შესაბამისად გულის რიტმის ხანგრძლივობა მამაკაცებში მეტია. ქალებში იგი დამოკიდებულია მენსტრუალურ ციკლზე. ქალებს აღენიშნებათ კორექტირებული Q-T ინტერვალის გახანგრძლივება და სინუსური კვანძის ფუნქციის აღდგენის ნაკლები დრო [184,161,107,152,61].

უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ასაკში, ქალის ორგანიზმი განსხვავებულად რეაგირებს ფარმაკოლოგიურ პრეპარატებზე, რაც შეიძლება

გამოწვეული იყოს როგორც მამაკაცთა და ქალთა შორის ფიზიოლოგიური განსხვავებებით, ისე პრეპარატების ფარმაკოკინეტიკისა და ფარმაკოდინამიკის სხვაობით [203,211,20]. ზოგიერთი პრეპარატის ფარმაკოკინეტიკის და ფარმაკოდინამიკის თავისებურებებით შეიძლება აიხსნას, რომ ქალებში აჰფ-ს ინჰიბიტორები ნაკლებად ეფექტურია, კალციუმის ანტაგონისტები პირიქით, მეტად ეფექტურია, ხოლო ზოგიერთი ანტიარითმიული პრეპარატი ასოცირებულია არასასურველ, ზოგჯერ კი მავნე ეფექტთან [212]. მაღალია IA კლასის ანტიარითმიული პრეპარატების პროარითმიული მოქმედების რისკი [29]. ქალებში თრომბოლიზისი ნაკლებად ეფექტურია, ვიდრე მამაკაცებში [187].

I.2. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გამოვლინებათა და მიმდინარეობების თავისებურებები ქალებში

ავტორები აღნიშნავენ მმი-ს სიმპტომების განსხვავებას სქესის მიხედვით [122,209]. ქალებს ნაკლებად აქვთ გამოხტული ტკივილი გულის არეში, უფრო მეტად ახასიათებთ თავბრუსხვევა, გულისრევა, დაღლილობა, მარჯვენა მხრის ტკივილი, კისრის ტკივილი [196].

მმი-ს დროს ქალებს მამაკაცებთან შედარებით მეტად ახასიათებთ ქოშინი, გულის რევა, ღებინება, ზურგის ტკივილი, ტკივილი ყბის, კისრის არეში, ხველა, დაღლილობა, მაგრამ უფრო იშვიათად ტკივილი გულის არეში და ოფლიანობა [52].

კლინიკაში შემოსვლისას ქალებს ახასიათებთ უფრო მძიმე კლინიკური სურათი, წინა კედლის ინფარქტის უფრო მაღალი სიხშირე და გულის უკმარისობის უფრო მწვავე სიმპტომები, უფრო მეტი იშემიის დრო [177]. როგორც ავტორები აღნიშნავენ, იშემიის საშუალო დრო ქალებში შეადგენდა საშუალოდ 192 წუთს., ხოლო მამაკაცებში 175 ($p = 0,002$) [18258,59].

კვლევამ აჩვენა, რომ მმი-ს მქონე პაციენტთა შორის კარდიოგენული შოკის სიხშირე მეტი იყო ქალებში (3,7% და 2,7% , $p < 0,001$). შოკის მქონე პაციენტთა საშუალო ასაკი სარწმუნოდ აღემატებოდა მამაკაცებისას (75,5 და 71,1; $P < 0,001$), არაკორექტირებული 1 წლიანი სიკვდილობა უფრო მაღალი იყო ქალებში (80,3%

და 75,4%, $p < 0,001$). კორექტირებულ მაჩვენებლებში განსხვავება არ დაფიქსირდა [8].

კარდიოგენული შოკი არის კლინიკური მდგომარეობა, რომლის დროსაც სისტოლური წნევა < 90 მმ გ და ცენტრალური ვენური ავსების წნევა > 20 მმ გ ან კარდიული ინდექსი < 2 ლ/წთ/მ². ადრეული თრომბოლიზისი ამცირებს კარდიოგენული შოკის განვითარების რისკს.

გადაუდებელი PCI ან ქირურგიული ჩარევა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა სიცოცხლის შესანარჩუნებლად და რეკომენდირებულია ჩატარდეს რაც შეიძლება დროულად [15].

კარდიოგენული შოკი გვხვდება მმი-ს 70-10%-ში, ამ დროს ლეტალობა შეიძლება აღწევდეს 70-80%-ს. კარდიოგენული შოკის განვითარება შესაძლებელია მარცხენა პარკუჭის მიოკარდის ფართო იშემიური დაზიანების (40%-ზე მეტი) შედეგად, ხოლო 50%-ის დაზიანების შემთხვევაში კმ ხდება არეაქტიული. ინფარქტდაკავშირებული არტერიის სასწრაფო რეკანალიზაცია და ინფარქტის ზონის შეზღუდვა პირველივე საათებში აუმჯობესებს პროგნოზს კმ-ს დროს [7,173]. PCI-ს გამოყენება ზრდის სიცოცხლის ხანგრძლივობას [11]. გამოკვლევამ SHOCK (Should We Emergency Revascularize Occluded Coronaries for Cardiogenic Shock) აჩვენა, რომ ადრეული რევასკულარიზაციის სტრატეგია პირველადი კლინიკური სტაბილიზაციის სტრატეგიასთან შედარებით ამცირებს ლეტალობას 13%-ით. 6-დან 12 თვის პერიოდში გადარჩენილი პაციენტებში დამაკმაყოფილებელი ფუნქციური სტატუსით (53% და 66%; $p < 0,03$). [199,194]. AMI-ს შემდგომი PCI-მდე პერიოდის გახანგრძლივება სარწმუნოდ ზრდის ჰოსპიტალური ლეტალობის რისკს შოკიან პაციენტებში შოკის გარეშე პაციენტებთან შედარებით [41].

I. 3. რისკ-ფაქტორები

ქალებს შორის გამოვლინდა მმი-ს რისკის ფაქტორთა გარკვეული თავისებურებები: არტერიული ჰიპერტონიის და მეტაბოლური სინდრომის მაღალი სიხშირე, ადრეული მენოპაუზა და სიგარეტის წევა, შაქრიანი დიაბეტი ხანდაზმულ ასაკში. მმი-ს მქონე ქალთა ნახევარზე მეტს ჰქონდა სხვადასხვა

ფსიქოპათიური რეაქციები. ქალებს უფრო ხშირად აღენიშნებათ გახანგრძლივებული QT ინტერვალი, რომელიც კორელირებს დეპრესიასთან[56].

დადგენილია, რომ გულის რემოდელირების პროცესი ქალებსა და მამაკაცებში მიმდინარეობს სხვადასხვანაირად [166]. აღნიშნება განსხვავება ინფარქტის შემდგომ ფსიქო-სოციალური ქცევებში [43].

I.4. კორონარული სისხლძარღვების ანატომიის (დაზიანების) გენდერული თავისებურებები

კორონაროგრაფიის შედარებითმა ანალიზმა მამაკაცებსა და ქალებს შორის დაზიანების სიმძიმის მიხედვით Syntax–ის სკალით განსხვავება არ აჩვენა. ასაკის მიხედვით რევასკულარიზაცია, დაზიანების სიმძიმე სარწმუნოდ მეტია, ვიდრე ახალგაზრდებში, ხოლო იმ ქალებს შორის, რომელთაც ჩაუტარდათ რევასკულარიზაცია, სისხლძარღვების დაზიანების სიმძიმე ასაკის მიხედვით არ განსხვავდებოდა. ე.ი. მამაკაცებში ასაკთან ერთად მატულობს კორონარული არტერიების დაზიანების სიმძიმე, ქალებში კი სისხლძარღვთა ათეროსკლეროზული დაზიანება არ ასოცირდება ასაკთან [129]. გარდა ამისა, ქალებს გააჩნიათ სისხლძარღვთა უფრო მეტად დაკლაკლინი და უფრო მცირე დიამეტრის სისხლძარღვები და ნადების განსხვავებული შედგენილობა. რასაც შეუძლია უფრო მეტი პროცედურული გართულებებისა და დისსექციის გამოწვევა. კვლევამ ულტრაბგერითი ვიზუალიზაციის გამოყენებით ვერ გამოავლინა სქესით განსაზღვრული განსხვავება იმ შემთხვევაში, როდესაც ბალთების მორფოლოგია და სისხლძარღვების ზომები ერთნაირი იყო. ეს შედეგები ირიბად ადასტურებენ, რომ ადრე გამოვლნილი განსხვავება განპირობებული იყო სისხლძარღვთა განსხვავებული ზომებით [70].

I.5. კო-მორბიდების გენდერული განსხვავებები

ქალებს უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცებს აღენიშნებათ შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონული დაავადება, დისცირკულარული ენცეფალოპათია, სიმსუქნე, ჰიერქოლესტერინემია [47,140]. მამაკაცებში სარწმუნოდ უფრო ხშირად რეგისტრირდება ქვემო კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, პოდაგრა. ამდენად მმი-ს შემდეგ პროგნოზს განსაზღვრავს არა სქესი, არამედ ასაკი, თანდართული დაავადებები, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი, გადატანილი ინფარქტი, მწვავე პერიოდში გართულების სახე [47].

თირკმლის ქრონიკული უკმარისობა წარმოადგენს არაკეთილსაიმედო გამოსავლის პრედიქტორს PCI-ს დროს [34,136], რაც სავარაუდოდ დაკავშირებულია ენდოთელურ დისფუნქციასთან, ანთებასთან და თრომბოციტების აქტივაციასთან [10].

მმი-ს მკურნალობისას შაქრიანი დიაბეტის არსებობა წარმოადგენს პრობლემას ორივე სქესისათვის [63].

პაციენტებში ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტით მმი-ს შემდეგ 2-ჯერ მეტია გადატანილი გულ-სისხლძარღვთ სისტემის მხრიდან გართულებები, 3,5-ჯერ მეტია განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის სიხშირე არასტაბილური სტენოკარდიის გამო, 1,6-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება მაღალი ფუნქციური კლასის სტაბილური სტენოკარდია და ლეტალური გამოსავალი [168].

შაქრიანი დიაბეტის დროს მმი-ს მხასიათებელს წარმოადგენს გართულებისა და არაკეთილსაიმედო გამოსავლის მაღალი რისკი კორონარული არტერიების მრავლობითი დაზიანების და მიკროცირკულაციის დარღვევის ხარჯზე [98,164]. მწვავე ჰიპერგლიკემია ზრდის თრომბოციტების აქტივაციას [83]. ანთებითი რეაქციები [126,69] STEMI-ს დროს დაკავშირებულია TIMI ნაკადის შემცირებასთან სტენტირებამდე [68,176], რეპერფუზიის შემცირებასთან STEMI-ს დროს [19].

მულტიცენტრული კვლევის თანახმად, დიაბეტი ზრდის PCI-ს გართულებებს 5,8%-იდან 15,4%-მდე [65], ტიპი 2 დიაბეტის მქონე პაციენტებში კორონარული არტერიების დიფუზიური დაზიანების სიხშირე 1,5-ჯერ მეტია ($p=0,02$) [213].

სტენტირების შემდგომი გამოსავალი დამოკიდებულია სქესზე[191]. შაქრიანი დიაბეტი განსაკუთრებით ამძიმებს ქალების პროგნოზს[54]. იგი წარმოადგენს სტენტირებისას როგორც მწვავე ტრომბოზების, ისე გვიანი რესტენოზების რისკის ფაქტორს ქალებში [178].

მმი-ს მქონე პაციენტებს შორის, რომელთაც გადაიტანეს სტენტირება, შაქრიანი დიაბეტი დაკავშირებულია უფრო უარეს შედეგებთან ქალებში, ვიდრე მამაკაცებში [80,39].

Berlin Myocardial Infarction Registry-ის მონაცემებით მამაკაცებთან შედარებით დიაბეტიანი ქალების ინტრაჰოსპიტალური სიკვდილობა სარწმუნოდ მეტია [125]. მმი-ს დროს PCI-ს შემდგომი 30 დღიანი სიკვდილობის შესწავლამ არ გამოავლინა დამოკიდებულება სქესსა და დიაბეტეს შორის, ხოლო 5 წლიანი სიკვდილობის სიხშირე სარწმუნოდ მეტი იყო ახალგაზრდა დიაბეტიან ქალებში, ვიდრე მამაკაცებში [80,144].

აღსანიშნავია, რომ დიაბეტის კავშირი ქალთა შორის PCI-ს შემდგომი ლეტალობის მაღალ სიხშირესთან უფრო მნიშვნელოვანი იყო 90-იან წლებში, ვიდრე უკანასკნელ ხანებში, რაც აიხსნება მკურნალობის სტრატეგიის ოპტიმიზაციით [45].

დიაბეტით დაავადებულ ქალებს მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირად აღენიშნებათ დიაბეტური კარდიომიოპათია [180,155], განსხვავებული ფოლაქები [40,1,06,135], პოსტმენოპაუზის დროს დამცველი ჰორმონების არარსებობა [180]. დიაბეტის დროს მმი-ს შემთხვევაში დამცველი მექანიზმები ბევრად უფრო დარღვეულია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში, რადგან არსებობს სქესობრივი განსხვავება ენდოთელური დისფუნქციის, მიოკარდის კუმშვის ფუნქციის, ნეიროენდოკრინული რეგულატორული მექანიზმის, თრომბოციტების აგრეგაციის სტიმულისადმი მგრძობელობის და სტრესის მიმართ ტოლერანტობის თვალსაზრისით [180, 80,155,100].

ავტორები აღნიშნავენ, რომ ქალებს გააჩნიათ უფრო გამოხატული ანთებითი რეაქციები ჰიპერგლიკემიის მიმართ [109], ვიდრე მამაკაცებს, რაც იწვევს არასასურველი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის მომატებას

[163], გარდა ამისა ქალებს PCI –ის დროს გააჩნიათ უფრო მაღალი პერიპროცედურული გართულების რისკი, ვიდრე მამაკაცებს [169].

დიაბეტიანი ქალები უფრო იშვიათად აღნიშნავენ მმი-ს ტიპიურ სიმპტომებს, ვიდრე არადიაბეტიანი. უარესი შედეგები ახალგაზრდა დიაბეტიან ქალებში მამაკაცებთან შედარებით გამოწვეულია რისკის ფაქტორთა ტვირთის მომატებით [139], დიაბეტიან ასაკიან ქალებს მამაკაცებთან შედარებით გააჩნიათ უფრო ცუდი თვითშეფასების უნარი [120,169], ჰიპერგლიკემიის და მმი-ს რისკის ფაქტორების კონტროლი ნაკლებია ქალებში, ასპირინი რეკომენდებულია დიაბეტიან ქალებში უფრო იშვიათად [74,127].

I.6. მიოკარდიუმის ინფარქტის გამოსავლის გენდერული განსხვავებები

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული კვლევების შედეგები სქესის მიხედვით მმი-ს შემდეგ სიკდილობის თვალსაზრისით ურთიერთსაწინააღმდეგოა [200,130,93,13,104].

ავტორთა ნაწილი თვლის, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით გააჩნიათ უარესი როგორც ახლო, ისე შორეული პროგნოზი. Myocardial Infarction Triage and Intervention Registry –ის მონაცემებით ჰოსპიტალური ლეტალობა მმი-თ ქალებში შეადგენს 16%-ს, ხოლო კაცებში – 11%-ს [94].

სქესსა და გულის მყარ უკმარისობას შორის არსებობს სარწმუნო კორელაციები [88,9]. ქალებში მმი უფრო ხშირად რთულდება მიოკარდის რუპტურით [27], მომატებულია კარდიოგენული შოკის განვითარების რისკი [44], რაც განაპირობებს მაღალ ჰოსპიტალურ ლეტალობას [180], ხოლო ახალგაზრდა ქალებში ლეტალობას მმი-დან 30 დღის განმავლობაში [124].

Blue Cross Blue Shield of Michigan Cardiovascular Consortium (BMC2) მულტიცენტრული პროსპექტული კვლევის შედეგების მიხედვით (22,725 პაციენტი), ქალებს გააჩნდათ უფრო მეტი თანდართული დაავადებები, იყვნენ მამაკაცებთან შედარებით უფროსი ასაკის და ჰქონდათ არაკეთილსაიმედო გამოსავლის უფრო მაღალი სიხშირე, ბაზისურ დემოგრაფიულ მონაცემებზე, კლინიკურ გამოვლინებებზე და თანდართულ დაავადებებსა და დაზიანების მახასიათებლებზე შესწორების შეტანის შემდეგ ქალთა სქესი დაკავშირებული

დარჩა შიდაჰოსპიტალური ლეტალობის მაღალ სიხშირესთან, სისხლძარღვოვან გართულებებთან, სისხლის გადასხმასთან, ინსულტთან და MACE-სთან. თირკმლის ფუნქციასა და სხეულის მცირე ზედაპირის ფართობზე შესწორების შემდეგ ქალთა სქესი არ აღმოჩნდა ლეტალობასთან და MACE-სთან დაკავშირებული [62].

ინფარქტთან დაკავშირებული არტერიების ანგიოპლასტიკა თანაბრად წარმატებული იყო ორივე სქესისათვის, პაციენტებს შორის ST ელევაციით 30 დღიან გამოსავალში სქესის მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ დაფიქსირდა; 4 წლის მანძილზე ლეტალობის მაჩვენებელმა შეადგინა 12,5%, 14,5%, 18% და 23% ქალებში და 9%, 10,5%, 12% და 15%, კაცებში. სიკვდილობის ზოგადი ტენდენცია ცხადი გახდა 3 წლის შემდეგ და სარწმუნოდ მოიმატა 4 წლის შემდეგ. მრავალგანზომილებიანი ანალიზის თანახმად მდედრობითი სქესი არ წარმოადგენს მაღალი სიკვდილობის დამოუკიდებელ პრედიქტორს. შორეული შედეგები ასევე არ ადასტურებს პირდაპირი სტენტირების გართულებასა და სიკვდილობაში ST ელევაციის მქონე პაციენტებს შორის სქესის პროგნოზულ მნიშვნელობას [23].

ადრეულ კვლევებში გამოვლენილ მნიშვნელოვან გენდერულ განსხვავებას გეგმიური ანგიოპლასტიკის გამოსავალში. რასაც ხსნიდნენ ქალებში უფრო მეტი თანდართული დაავადებებისა და უარესი კლინიკური მახასიათებლების არსებობით, როგორებიცაა ასაკი, არასტაბილური სტენოკარდია, ქრონიკული გულის უკმარისობა, შაქრიანი დიაბეტი და არტერიული ჰიპერტენზია. მამაკაცებისაგან განსხვავებით ქალებს ანგიოპლასტიკა უტარდებათ შედარებით უფრო ასაკში, ანამნეზი უფრო მეტად არის დამძიმებული დიაბეტით, ჰიერქოლესტერინემიით, და სხვა თანმხლები პათოლოგიებით [81,113,167]. ქალებში ასევე უფრო ხშირია არასტაბილური სტენოკარდია და სტენოკარდიის მაღალი კლასი (III-IV კილიპით) [105]. მიუხედავად ამისა, ქალებში კორონარული არტერიების დაზიანების სიმძიმე მამაკაცებზე ნაკლებია.

2009-2010 წლებში ჩატარდა პროსპექტული მულტიცენტრული გამოკვლევა. ჩართული იყო 382 პაციენტი მმით ST ელევაციით, ბალონის გადაბერვის დრო – მამაკაცებისათვის 270,0 და ქალებისათვის 312,5(P = 0,007). ქალების საშუალო

ასაკი 8 წლით აღემატებოდა მამაკაცებისას. ჰოსპიტალურ ლეტალობას შორის განსხვავება არ დაფიქსირდა, ქალები უფრო მიდრეკილნი იყვნენ მულტი სისხლძარღვოვანი დაავადებებისაკენ ($P = 0,002$). შემოსვლისას ქალთა შორის დაფიქსირდა გულის უკმარისობის და სტენოკარდიის უფრო მაღალი სიხშირე. განსხვავება არ აღმოჩნდა პერიოპერაციულ გართულებებსა და გაწერიდან 1 თვის მანძილზე სიკვდილობასა და სხვა კარდიოვასკულარულ შემთხვევას შორის. 3 თვის შემდეგ გულის უკმარისობა და განმეორებითი ჰოსპიტალიზაცია სარწმუნოდ მაღალი იყო ქალებში ($p = 0,007$) 3 თვის შემდეგ და შორეული შედეგების კვლევამ ვერ დაადასტურა სარწმუნო განსხვავება სიკვდილობის თვალსაზრისით. (ქალები 4,2% და 1,6% მამაკაცები; $P = 0,056$). რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მდებრობითი სქესი არ არის ჰოსპიტალური ლეტალობის დამოუკიდებელი პრედიქტორი [99,189].

მრავალფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ 3 წლიან გამოსავალზე მოქმედებს მცირე ზომის სტენტის გამოყენება, რაც განსაზღვრავს სქესს შორის განსხვავებას სისხლძარღვების განსხვავებული ზომის გამო [104].

ახალგაზრდა ასაკი ქალებში წარმოადგენს ინფარქტის შემდგომი სიკვდილობის რისკის ფაქტორს [18].

სქესის, ასაკისა და ქირურგიული ჩარევის შედეგად სიკვდილობის ურთიერთკავშირის დასადგენად ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალებში ადრეული პოსტოპერაციული სიკვდილობა 1,5-ჯერ მეტად არის დაკავშირებული ასაკთან, ვიდრე მამაკაცებში. 50 წლამდე ქალებში სიკვდილობა 2,4-ჯერ მეტი იყო, მაშინ, როდესაც 80 წლის ასაკში ეს მაჩვენებელი ერთნაირი აღმოჩნდა. ადრეული სიკვდილობის რისკის ფაქტორებს შორის შუნტირების შემდეგ ქალებისთვის აღმოჩნდა გადატანილი მმი და დაზიანებული სისხლძარღვების რაოდენობა [143].

განალიზებული იქნა 65 წელზე უფროსი ასაკის 426996 პაციენტის მონაცემები ნაციონალური გულ-სისხლძარღვთა რეგისტრიეს (National Cardiovascular Data Registry®) მონაცემთა ბაზიდან, რომელთაც ჩაუტარდათ სტანდარტული მკურნალობა, და შედარდა შიდაჰოსპიტალური და შორეული შედეგები სქესის და სტენტის ტიპის მიხედვით. შიდაჰოსპიტალური

გართულებები უფრო ხშირად აღენიშნებოდათ ქალებს: ლეტალობა შესაბამისად [2,2%] და 3737 [1,6%]; OR=1,41, 95%CI 1.33-1.49, მიოკარდის ინფარქტი - 2365 [1,3%] და 2858 [1,2%]; OR = 1,19, 95% CI 1.11-1.27); სისხლისდენა - (7860 [4,4%] და 5627 [2,3%], OR=1,86, 95%CI 1.79-1.93), სისხლმარღვოვანი გართულებები - (2381 [1,3%] და 1648 [0,7%], OR=1,85, 95%CI 1.73-1.99). 20.4 თვის განმავლობაში ქალებს ჰქონდათ ლეტალობის უფრო მცირე კორეგირებული რისკი OR=0,92, 95% CI= 0.90-0.94 და ისეთივე მიოკარდიუმის ინფარქტის, სისხლისდენის და რევასკულარიზაციის მაჩვენებელი. შორეული შედეგების მიხედვით განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის არ აღმოჩნდა [154] .

[143]–ის მიერ რეტროსპექტულად გაანალიზებულ იქნა მმი-ს მქონე 18 351 პაციენტის მონაცემები, რომელთაც ჩაუტარდათ PCI 2002-200 წლებში. (5093 ქალი და 13 258 მამაკაცი). სქესთან დაკავშირებული სიკვდილობა არ იყო ერთგვაროვანი პოსტპროცედურული პერიოდის მიხედვით: 30 დღიანი სიკვდილობა მამაკაცებთან შედარებით მაღალი იყო ქალებში [OR:1,40, P <0,0001], 30 დღიანი პერიოდის შემდეგ კი ლეტალობის რისკი ნაკლები იყო ქალებში (OR=0,84, P = 0,01). ამავე დროს ახალგაზრდა ქალებში როგორც მწვავე, ისე შემდგომ პერიოდში ლეტალობის რისკი 3,6-ჯერ მეტი იყო, ვიდრე მამაკაცებში. 50-80 წლის ასაკის ქალების ლეტალობის რისკი გაუტოლდა მამაკაცებისას. აქედან გამომდინარე, გენდერული სხვაობა დამოკიდებულია ასაკზე [143,197].

78 254 მწვავე მი-ს მქონე პაციენტის გამოკვლევამ ამერიკის 410 კლინიკის 2001-2006წწ-ების კონტინგენტიდან აჩვენა, რომ ქალების ასაკი იყო მეტი, მათ გააჩნდათ მეტი თანამდევი დაავადებები, ნაკლებად ინფარქტი ST-ელევაციით. ქალების სიკვდილობა სარწმუნოდ მაღალი იყო გაწერამდე, ვიდრე მამაკაცების [154] (შესაბამისად 8,2% და 5,7%, $p < 0,0001$), მრავალგანზომილებიანი ანალიზის შემდეგ ჰოსპიტალური სიკვდილობა საერთო კოჰორტაში სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა კორეგირებული შანსების ფარდობა OR= 1,04, 95% CI 0,99-1,10), თუმცა შენარჩუნდა პაციენტებს შორის ST ელევაციით. (შესაბამისად 10,2% და 5,5% , $P < 0,0001$; OR = 1,12, 95% CI- 1,02-1,23). მამაკაცებთან შედარებით ქალები უფრო იშვიათად იღებდნენ დროულ მკურნალობას ასპირინით, β-

ადრენობლოკატორებით, რეპერფუზიულ თერაპიას. ასევე ქალებს იშვითად უტარდებოდათ გულის კათეტერიზაცია და რევასკულრიზაცია [28].

I.6.1 მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის PCI-ის შემდგომი გამოსავლის განსხვავებები

ადრეული, 1985 წლის კვლევის თანახმად - NHLBI PTCA რეგისტრი – მოყვანილი იყო მონაცემები, რომლის მიხედვითაც მამაკაცებში მრავალსისხლმარღვოვანი დაზიანებების და მიოკარდის უარესი კუმშვადობის პრევალირების მიუხედავად, ქალებში პირველადი სტენტირების წარმატება ნაკლები იყო, ხოლო გართულებების რაოდენობა და შიდაჰოსპიტალური ლეტალობა გაცილებით მაღალი [22,60]. მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მდებრობითი სქესი წარმოადგენს დამოუკიდებელ პრედიქტორს PCI-ს არაკეთილსაიმედო გამოსავალსა და ადრეული სიკვდილობისათვის [175].

უფრო გვიანი კვლევების შედეგად კი გამოვლინდა, რომ PCI-ს ეფექტურობა ორივე სქესისათვის ერთნაირია [50].

9015 პაციენტის რეტროსპექტულმა კვლევამ, რომელთაც მმი-ს დროს ჩაუტადათ პირველადი PCI აჩვენა, რომ შიდაჰოსპიტალური სიკვდილობის სიხშირე ქალებს შორის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე მამაკაცებში (6,7% და 3,4%, $p < 0,001$), ასაკსა და თანდართულ დაავადებებზე შესწორების შემდეგ განსხვავება სარწმუნო არ აღმოჩნდა ($p=0,51$). 75 წელზე ახალგაზრდა პაციენტებში შიდაჰოსპიტალური სიკვდილობის სიხშირე 37%-ით მეტი იყო ქალებში, ვიდრე მამაკაცებში ($p=0,04$) მაშინ როდესაც 75 წელზე მეტი ასაკის პაციენტებში ქალებსა და კაცებს შორის სიკვდილობის სიხშირის მიხედვით განსხვავება არ დაფიქსირდა [153].

მმი-ს კეთილსაიმედო გამოსავლის წინაპირობას წარმოადგენს სისხლის მიმოქცევის ადრეული აღდგენა ინფარქტზე პასუხისმგებელ არტერიაზე [24,79], რამაც ხელი უნდა შეუწყოს ინფარქტის გავრცელების შეზღუდვას, ანვრიზმის წარმოქმნისა და მიოკარდის პათოლოგიური რემოდელირების თავიდან აცილებას, სიცოცხლისათვის საშიში არითმიის განვითარებისა და ლეტალობის რისკის შემცირებას [49,57,123,21,136].

უკანასკნელ ათწლეულებში ჩატარებულმა რანდომიზებულმა კვლევებმა დაადასტურა ენდოვასკულარული რევასკულარიზაციის უპირატესობანი მმი-ს მკურნალობის დროს [197, 33,37, 42,216]. ეფექტურობა დადასტურებულია როგორც ახლო, ისე შორეული შედეგების მიხედვით სიკვდილობის, განმეორებითი ინფარქტის და განმეორებითი რევასკულარიზაციის თვალსაზრისით [42,46].

კორონარული სტენტირების მეთოდიკა იძლევა სისხლის მიმოქცევის ეფექტურად აღდგენის საშუალებას მწვავე ინფარქტის პირველივე საათებში (6-12სთ) ინფარქტზე პასუხისმგებელ (ინფარქტ დამოკიდებულ) არტერიაზე [84,85,86], რაც უშლის მიოკარდის დაზიანების ფართობის გაზრდას, მიოკარდის პათოლოგიურ რემოდელირებას [210], სარწმუნოდ ამცირებს კარდიალური გართულებების სიხშირეს და ლეტალობის დონეს [78,2].

National Heart Lung and Blood Institute (NHLBI)-ის მონაცემებით, PCI-სთან დაკავშირებული განსხვავებებების მიზეზია ქალთა უფროსი ასაკი, მათ შორის უფრო მეტადაა გავრცელებული მძიმე და არასტაბილური სტენოკარდია, არტერიული ჰიპერტენზია. მამაკაცებისათვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი მრავლობითი სისხლძარღვოვანი დაზიანებები, შუნტირება ანამნეზში და განდევნის ფრაქცია 50%-ზე ნაკლები. მიუხედავად მამაკაცთა შორის დაავადების უფრო მაღალი ხარისხით გამოვლენისა, ქალებს ახასიათებთ უფრო უარესი კლინიკური (შესაბამისად 56 და 62 %) და ანგიოგრაფიული (60 და 66 %), ასევე უფრო მაღალი შიდაჰოსპიტალური ლეტალობა. (2 და 1 %). ქალებს გამოუვლინდათ კორონარული სისხლძარღვების განშრევების მაღალი რისკი. ქალთა სქესი კორელირებდა ანგიოპლასტიკის ნაკლებ წარმატებასთან [53].

გამოკვლევულ იქნა 1059 პაციენტი მმი-ით (843 კაცი ი 216 ქალი). მამაკაცებთან შედარებით ქალები იყვნენ უფროსი ასაკის, გააჩნდათ უარესი მაჩვენებელი killip-ის მიხედვით, მაღალი რისკი GRACE და უფრო მაღალი ლეტალობა. GRADE-ს მიხედვით შესწორების შემდეგ მკურნალობის შედეგების მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავება არ გამოვლინდა [53].

ბოლო მონაცემებით - BARI, წარმატებული PCI-ის შემდეგ ქალებს გააჩნიათ მამაკაცების ტოლი ან ზოგჯერ უკეთესი შორეული შედეგები [186,110].

პერიპროცედურული ინფარქტი აუარესებს კეთილსაიმედო გამოსავლის პროგნოზს. პერიპროცედურული ინფარქტის რისკის ფაქტორია ტროპონინ-1 და ქოლესტერინის მაღალი დონე. შესწავლილ იქნა 350 პაციენტი. ყველა პაციენტს ჩარევამდე აღენიშნა ტროპონინ-1-ის და ქოლესტერინის მაღალი შემცველობა. პროცედურის შემდეგ ინფარქტი აღინიშნა 115 პაციენტში. ამ პაციენტებში აღინიშნა ტროპონინ-1-ის მაღალი დონე (ნორმასთან შედარებით 3-ჯერ მეტი), ხოლო ქოლესტერინის შემცველობა ინფარქტიან პაციენტებში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე პაციენტებში ინფარქტის გარეშე (49,1მგ/დლ;45,24მგ/დლ; $P<0,001$). ინფარქტის რისკს ზრდის აგრეთვე დისსექცია, დისტალური ოკლუზია [76]. აღსანიშნავია, რომ სტატინების მიღება არ ახდენს გავლენას პერიპროცედურულ ინფარქტზე. მიუხედავად იმისა, რომ იმ პაციენტებში, ვინც იღებდა სტატინებს ქოლესტერინის შემცველობა დაბალი იყო იმ პაციენტებთან შედარებით, ვინც არ იღებდა სტატინებს. ასაკი და სქესი პერიპროცედურული ინფარქტის რისკ ფაქტორს არ წარმოადგენს [87]. ტროპონინის მომატება ჩარევის შემდეგ ზრდის ლეტალობის რისკს. [71]-ის აზრით ტროპონინი არის უფრო მგრძობიარე და სპეციფიური, ვიდრე კრეატინინკინეზა (მიოკარდიუმის ნეკროზის მარკერი) და მისი განსაზღვრა მიზანშეწონილია პროგნოზის განსაზღვრისთვის [71], თუმცა ეს საკითხი წარმოადგენს დისკუსიის საგანს. ბოლო წლების განმავლობაში ტროპონინ T და ტროპონინ I-ს მომატების პროგნოზული მნიშვნელობის დასადგენად შესრულდა 22 კვლევის მეტა-ანალიზი (22353 პაციენტი), 1998-2009წლებში[89]. აღმოჩნდა, რომ ჩარევის შემდეგ ტროპონინ T მომატებულია პაციენტთა 26%-ში, ხოლო ტროპონინ I 34%-ში; იმ პაციენტებში, ვისაც აღენიშნებოდა ტროპონინების მომატება გაცილებით მეტია ლეტალობა, რომელიც არ არის გამოწვეული ინფარქტით, იმ პაციენტებთან შედარებით, ვისაც არ აღენიშნებოდა მომატება. გარდა ამისა მომატებული იყო ინფარქტით გამოწვეული ლეტალობაც. (5.8%; 9.2%). ავტორის აზრით ამ კავშირის მიზეზი ბოლომდე არ არის შესწავლილი. აღსანიშნავია, რომ ტროპონინის მომატებას ჩარევის შემდეგ აქვს პროგნოზული ღირებულება, ამდენად მნიშვნელოვანია მაღალი რისკის ჯგუფის ყველა პაციენტის გამოვლენა და შემდგომ დაკვირვება და შედარებით აგრესიული ანტიაგრეგატული მკურნალობა.

ის მიერ წარმოადგენილ იქნა დიდი ბრიტანეთის 20 სადიაგნოსტიკო ცენტრის კვლევის ანალიზი, რომელიც ეხებოდა მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკას ტროპონინის დონის მიხედვით[89]. აღმოჩნდა კავშირი კლინიკური შედეგის გაუმჯობესებასა და ტროპონინის დონის შემცირებას შორის. ტროპონინი იზომებოდა შემოსვლისას და 12 საათის შემდეგ სიმპტომების გამოვლენიდან. მისი აზრით შესაძლებელია ინფარქტის როგორც დიაგნოსტიკა, ისე მისი თავიდან აცილებაც კლინიკაში შემოსვლისას. ტროპონინის დონე სწრაფად მატულობს ინფარქტის შემდეგ, მაგრამ შეიძლება არ მოაღწიოს ზედა ზღვარს სიმპტომების გამოვლენიდან 6-12 საათის განმავლობაში.

I.6.2 რესტენოზის გენდერული განსხვავებები

დღემდე აქტუალური რჩება რესტენოზის განვითარების რისკი სტენტირების შემდეგ გენდერული განსხვავების გათვალისწინებით.

მიუხედავად ინტერვენციული ჩარევის წარმატებებისა, დინამიურმა დაკვირვებამ გამოავლინა უარყოფითი შედეგებიც. მრავალწლიანი კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ სტენტირებდან 4–6 თვის შემდეგ რესტენოზის სიხშირე შეადგენდა 20–40%-ს. რესტენოზის მიზეზად სახელდება: სტენტის მეტალი, როგორც უცხო სხეული, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ანთებითი პროცესი სისხლძარღვოვან სისტემაში [1,30,72,193,194].

რესტენოზის რისკის სტრატეგიკაცია სტენტირების შემდეგ დამოკიდებულია წინასაოპერაციო კლინიკური სიტუაციის შესწავლაზე[206]; სქესი, ასაკი, მეტაბოლური დარღვევების ხარისხი მნიშვნელოვნად ზრდის რისკს [95].

კვლევაში ჩართული იქნა 4374 პაციენტი (1025 ქალი და 3349 კაცი) სტაბილური და არასტაბილური სტენოკარდიით. ჩარევიდან 1 თვის შემდეგ არაკეთილსაიმედო გამოსავლის სიხშირე შეადგენდა 3,2%-ს ქალებში და 1,8 კაცებში($p=0.004$); 6 თვის შემდეგ რესტენოზის განვითარების რისკი ქალებში შედარებით ნაკლები იყო ვიდრე მამაკაცებში, შესაბამისად (28.9; 33.9% $P=0.01$). მრავალფაქტორული ანალიზის საფუძველზე დადგინდა: რომ რესტენოზის

განვითარების რისკის ფაქტორებია: შაქრიანი დიაბეტი ($p=0,045$), ჰიპერტენზია ($p=0,047$). გამოვლინდა ურთიერთკავშირი შაქრიან დიაბეტსა და პაციენტის სქესს შორის ($p=0,05$). სიკვდილობა 1 წლის შემდეგ აღინიშნა ქალების 5,2%-ში და მამაკაცების 4,5%-ში ($p = 0,36$ %); არაკეთილსაიმედო გამოსავალი ლეტალობის და ინფარქტის ჩათვლით აღინიშნა ქალების 7,2%-სა და მამაკაცების 6%-ში ($p=0,14$). ქალებში აღინიშნა გართულების გაცილებით მაღალი სიხშირე ჩარევიდან 30 დღის განმავლობაში [192].

I.6.3 სტენტთრომბოზი

სტენტთრომბოზის 80% ვითარდება პროცედურიდან 2 დღის განმავლობაში [55], თუმცა წამლით დაფარული სტენტების გამოყენებამ სტენტთრომბოზის რისკის პერიოდი გაზარდა 30 დღემდე, რაც აიხსნება ენდოთელიზაციის შეფერხებით [170,97]. სტენტ თრომბოზის რისკის ფაქტორებია: მწვავე კორონარული სინდრომი, შაქრიანი დიაბეტი, თირკმლის ქრონიკული უკმარისობა, ვიწრო სისხლძარღვები და რამდენიმე სტენტის არსებობა [96,97].

სტენტთრომბოზის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ითვლება კლოპერიდოლის დაგვიანებული მიღება, განდევნის ფრაქციის შემცირება, მწვავე კორონარული სინდრომის არსებობა, გარდა ამისა რისკის ფაქტორებია მამრობითი სქესი, 60 წელზე უფროსი ასაკი, მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანება და კორონარული არტერიის ოკლუზია [191].

ასევე უფრო ხშირია არასტაბილური სტენოკარდია და სტენოკარდიის მაღალი კლასი [105]. მიუხედავად ამისა, ქალებში კორონარული არტერიების დაზიანების სიმძიმე მამაკაცებზე ნაკლებია. ასევე დადგენილია, რომ იშემიის გავლის პერიოდი უფრო ძნელად გადასატანია მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის დროს, რაც უფრო ხშირია ქალებში [114].

I.7. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გენედერული განსხვავებების მნიშვნელოვანი კვლევები

CADILLAC-ის კვლევის მიხედვით შესწავლილ იქნა 2082 რანდომიზირებული პაციენტი 1520 (73%) მამაკაცი და 562 (27%) ქალი. აღინიშნა შემდეგი გენდერული თავისებურებები - ქალებში მაჩვენებლები სარწმუნოდ აღემატებოდა მამაკაცებში მაჩვენებლებს: საშუალო ასაკი (66.0; და 57.0; $P < 0.001$); ჰიპერტენზია (59.3; და 29.0; $P < 0.001$); დიაბეტი (25.7; და 14.0; $P < 0.001$); სიგარეტის წევა (37.4; და 45.3; $P < 0.001$); ჰიპერლიპიდემია (43.2; და 35.9; $P < 0.002$) სტენტირების დროს დაიღუპა 2—ჯერ მეტი ქალი, ვიდრე მამაკაცი, ჰოსპიტალური სიკვდილობა ქალებში აღემატება კაცებში სიკვდილობას (3,4; 1.0; $P < 0.0003$), ასევე 1 თვის (4.6; 1.1; $P < 0.001$) და 1 წლის (7.6%; 3.0%, $P < 0.001$) შემდეგაც აღინიშნა სიკვდილობის მაღალი სიხშირე, რასაც ხსნიან სხეულის მცირე ზომით, ასაკით, თანდართული დაავადებებით და პროცედურული გართულებებით [36,217].

გენდერული განსხვავება დაფიქსირდა კვლევის ყველა ეტაპზე: ქალებს აღენიშნებოდათ უფრო გვიანი პრეზენტაცია სიმპტომების გამოვლენის შემდეგ, ორჯერ უფრო ხანგრძლივი დრო კარებიდან ბალონამდე, უფრო ხშირი ჰოსპიტალური გართულებები – არტერიული ჰიპოტენზია, გახანგრძლივებული გულის უკმარისობა, CPR და ლეტალობა, აგრეთვე 30 დღიანი და ერთწლიანი, რაც ხელს უწყობს ადრეულ და გვიან სიკვდილობას, ასევე ერთი წლის მანძილზე სამიზნე სისხლძარღვის რევასკულარიზაციის (TVR) მაღალი მაჩვენებელი. სისხლისდენა ყველა ეტაპზე უფრო ხშირი იყო ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. საწყისი მაჩვენებლების კორექციის შემდეგ ქალთა სქესი აღმოჩნდა დამოუკიდებელი ფაქტორი ერთწლიანი სიკვდილობისათვის – (OR=1,77). როდესაც ანალიზში გათვალისწინებული იქნა სხეულის ზედაპირის ზომა (BSA), ქალთა სქესი დარჩა სარწმუნო პრედიქტორად MACE და სისხლდენისათვის, მაგრამ არა ლეტალობისთვის.

შედეგები სქესის მიხედვით Cadillac : გამოკვლეულ იქნა 562 ქალი და 1520 კაცი. ჰიპოტონია სტაციონარში (%) ქალები - 8,9%, მამაკაცები 4,7%: $p=0.001$. ახალი CHF, სტაციონარში – შესაბამისად 6,6% და 3,5%, $p=0.003$; CPR, სტაციონარში – 1,1% და 0,1%; $p=0.002$; პრეზენტაციის დაგვიანება(სთ) - 2,05 და

1,68 $p < 0,001$; დრო კარებიდან ბალონამდე(სთ) - 2,18 და 1,95, $p < 0,001$, major adverse cardiac events (MACE), 1 წელი 23,9 და 15,4, $p < 0,001$; სიკვდილობა 1 წლის მანძილზე 7,6 და 3,0; $p < 0,001$. TVR, 1 წელი - 16,7 და 12,1 $p = 0,006$; ზომიერი/მძიმე სისხლდენა 1 წლის მანძილზე - 7,2 და 2,8; $p < 0,001$ [36].

უკანასკნელი მონაცემებით ეს განსხვავებები ნაკლებად მნიშვნელოვანია. უფრო მცირე პროფილისა და უფრო მოქნილი და მოძრავი (tractability and pushability) სტენტების შემოღებამ მცირე და დაკლავლინი სისხლძარღვების შემთხვევაშიც კი გაუმჯობესდა შედეგები. ეს გაუმჯობესება მამაკაცებთან შედარებით მეტი იყო ქალებში, რამაც გამოიწვია ახლო პერიოდის შედეგების გათანაბრება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ავტორი მაინც აღნიშნავს ქალებს შორის გართულებათა უფრო მაღალ სიხშირეს მამაკაცებთან შედარებით, სტენტრომბოზის სახით. აქედან გამომდინარე რეკომენდებულია ანტითრომბოლიზური თერაპიის ჩატარება.

სქესის მიხედვით შეადარეს პერფუზიის დონე მიოკარდისა და ეპიკარდის ქსოვილებში STEMI-ის მქონე პაციენტებში პირველადი PCI-ის შემდეგ (594 პაციენტი). პირველად საბოლოო წერტილს წარმოადგენდა პოსტროცედურულ პერფუზია, მეორადს – 30 დღიანი და 6 თვიანი დიდი არასასურველი კარდიალური შემთხვევა(MACE). ქალებს აღნიშნებოდათ უფრო მეტი რისკის ფაქტორები, ვიდრე მამაკაცებს, PCI-ის შემდეგ მიღწეულ იქნა თანაბარი ეპიკარდიალური რეპერფუზია, მაგრამ ქალებს გამოუვლინდათ მიკროსისხლძარღვოვანი რეპერფუზიის დარღვევა, რაც გამოიხატებოდა უფრო დაბალი TIMI ხარისხით($P = 0,007$). რისკის ფაქტორებზე შესწორების შემდეგ მრავალფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თავად სქესი არ წარმოადგენს მიკროსისხლძარღვოვანი რეპერფუზიის დარღვევის პრედიქტორს. ქალთა სქესი და რეპერფუზიის დარღვევა წარმოადგენდნენ 30 დღიანი MACE –ს პრედიქტორებს, 6-თვიანი გამოსავლისათვის სქესის პროგნოზული მნიშვნელობა დაიკარგა [132].

Carotid angioplasty and stenting is safe in women Can Assoc Radiol J. 2012 [25]-ის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ ასიმპტომური ინტრაპროცედურული დისსექცია შედარებით მეტი იყო ქალებში, გამოსავლის თვალსაზრისით (30

დღე) გენდერული განსხვავება არ აღინიშნა და სტენტირება შეიძლება შესრულდეს უსაფრთხოდ როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში. სიკვდილობა 30 დღის შემდეგ აღინიშნა (3.0% 3.2% P = 1.00) [23].

PCI მკურნალობის უპირატესი არჩევანია კარდიოგენული შოკის დროს. პაციენტები, რომლებსაც აქვთ ფიბრინოლიზური თერაპიის უკუჩვენება, მიეკუთვნებიან სიკვდილობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს. პირველადი PCI-ის ჩატარება ამ პაციენტების უმრავლესობაში წარმატებულია.

როგორც ავტორები აღნიშნავენ, მშის შემდეგ მამაკაცების მიმართ უფრო ხშირად ტარდება პროცედურები, რაც განპირობებულია ქალების უფროსი ასაკით [17].

I.8. თერაპიული ტაქტიკის გენდერული განსხვავებები

თრომბოლიზური თერაპია მმი-ს დროს ქალებს ენიშნებათ უფრო იშვიათად და გააჩნიათ უფრო ნაკლები შედეგები ქალებში, თრომბოლიზისის იშვიათ გამოყენებას ქალებში ხსნიან იმით, რომ ქალები მმ-ით არიან მამაკაცებთან შედარებით უფროსი ასაკის და გვიან მიმართავენ ექიმს [73].

მკურნალობაში გენდერული განსხვავების დასადგენად ჩატარდა კვლევა “ORBI”, გაანალიზებულ იქნა STEMI-ის მქონე პაციენტთა მკურნალობის მონაცემები 6 წლის მანძილზე ბრეტანის ინტერვენციული მედიცინის ცენტრში. კვლევაში ჩართული იყო 5000 პაციენტი, მათ შორის 1174 (23,5%)- ქალი. ქალების საშუალო ასაკი 68.8 ± 14, მამაკაცების - 60.8 ± 12 (p <0,0001). ქალები უფრო გვიან მიმართავდნენ სამედიცინო დახმარებისათვის,- შესაბამისად 60 წუთი და 44 წუთი P <0,0001), შიდაჰოსიტალური სიკვდილობა ქალებში სარწმუნოდ მეტი იყო მამაკაცებთან შედარებით – შესაბამისად 9% და 4.4%; p <0,0001, დრო მიღებიდან რეერფუზიამდე ასევე მეტი იყო ქალებში (45 და 40 შესაბამისად P = 0,011). გაწერის შემდეგ ქალებს ენიშნებოდათ უფრო მცირე რაოდენობის პრეპარატები, ვიდრე მამაკაცებს.

მმი-ს მენეჯმენტი სქესის მიხედვით

		მამაკაცები, n = 3826	ქალები, n = 1174	P
საწყისი მენეჯმენტი	იბრინოლიზისი	618 (16%)	143 (12%)	0.001
	GP IIb/IIIa ინჰიბიტორები	2269 (59%)	628 (53%)	<0.0001
	ორონაროგრაფია	3773 (98%)	1122 (95%)	<0.0001
		1348 (51%)	303 (38%)	<0.0001
	Radial access			
	ირველადი ანგიოპლასტიკა	2754 (72%)	829 (70%)	0.36
	თრომბის ასპირაცია	1612 (47%)	425 (43%)	0.075
	ინტრაჰოსპიტალური გამოსავალი	მაღალი ხარისხის AV ბლოკადა	112 (2%)	68 (5%)
ჭინაგულების ფიბრილაცია		138 (3%)	82 (7%)	<0.0001
განდევნის ფრაქცია (%)		50.5±10	49.4±11	0.004
სტაციონარში დაყოვნების ვადა (დღე)		6.7±4	7.6±4	<0.0001
რეკომენდაციები გაწერისას	სპირინი	3584 (98%)	1022 (95%)	<0.0001
	Clopidogrel/Prasugrel	3506 (95%)	993 (93%)	<0.0001
	β ბლოკერები	3349 (91%)	940 (88%)	0.001
	ACE ინჰიბიტორები	2481 (67%)	662 (62%)	<0.0001
	შტატინები	3475 (95%)	955 (89%)	<0.0001
	კარდიოვასკულარული რეაბილიტაცია	1577 (47%)	267 (27%)	<0.0001

ამრიგად კვლევამ დაადგინა გენდერული განსხვავება სტემის მენეჯმენტში [102].

სტენტირების გამოყენების თვალსაზრისით გენდერული განსხვავების გამოსავლენად ჩატარდა მრავალგანზომილებიანი ანალიზი ლოგისტიკური რეგრესიის საშუალებით, რისთვისაც გამოკვლეულ იქნა 21181 პაციენტი პენსილვანიის შტატის კლინიკებიდან, რომელთა შორის 10170 –ს ჩატარდა PCI. ასაკის, ეთნიკური კუთვნილების, ინფარქტის ლოკალიზაციის და სიმძიმის გათვალისწინების შემდეგ სტენტირების შანსი ქალებს 24%-ით ნაკლები

აღმოაჩნდათ, ვიდრე მამაკაცებს. ქალებში, რომელთაც ჩაუტარდათ სტენტირება, ლეტალობის შანსი სარწმუნოდ ნაკლები იყო, ვიდრე იმ ქალებში, რომელთაც სტენტირება არ ჩაუტარდათ - შესაბამისად 2,3% და 10,4%, $p < 0,0001$ ამავე დროს, ლეტალობა იმ ქალებსა და მამაკაცებს შორის, რომელთაც ჩაუტარდათ სტენტირება სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა (1,59% და 1,92%, $p = 0,39$) [121].

ოსლოს უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სტენტირების გამოყენების შანსი STEM-ის მქონე ქალებში იგივეა, რაც მამაკაცებში, მაშინ როდესაც ქალებს NSTEM-ით ანგიოგრაფია და PCI უტარდებოდათ ნაკლები სიხშირით. ასაკზე შესწორების შემდეგ გვიანი ლეტალობა სქესის მიხედვით არ განსხვავდებოდა [31,32].

ამსტერდამის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში ჩატარებულმა STEMI-ს მქონე 3,277 პაციენტის მკურნალობის შედეგების ანალიზმა არ აჩვენა სარწმუნო განსხვავება სქესთა შორის არც 30 დღიანი, არც 3 წლიანი ლეტალობის მიხედვით. მკურნალობის ხარისხი ორივე სქესისათვის მსგავსი იყო [90].

ისრაელში ჩატარებულმა კვლევამ მმი-ს მქონე ხანდაზმულ პაციენტებში მკურნალობის თვალსაზრისით განსხვავება ვერ გამოავლინა, თუმცა 7 დღიანი ლეტალობა სარწმუნოდ მაღალი იყო ქალებში, მაშინ როდესაც 6 თვიან ლეტალობას შორის განსხვავება არ გამოვლინდა [134].

ახალგაზრდა (45 წლამდე) პაციენტებს STEM-ით უფრო იშვიათად აქვთ რისკის ფაქტორები, სტაციონარში იღებენ ისეთივე დახმარებას, როგორც უფროსი ასაკის პაციენტები, თუმცა გენდერული განსხვავება აღინიშნებოდა ახალგაზრდა ასაკში – ახალგაზრდა ქალებში მათი ასაკის მამაკაცებთან შედარებით აღინიშნებოდა უფრო მაღალი შიდაჰოსპიტალური ლეტალობა და ისინი იღებდნენ უფრო ნაკლები ხარისხის დახმარებას [23].

ამრიგად, სადღეისოდ არსებულ კვლევათა მონაცემები კანგავლითი კორონარული რევასკულარიზაციის შედეგებისა და გართულებათა რისკის ფაქტორების შესახებ განსხვავებულია. განსხვავებულია, აგრეთვე, მოსაზრებები სქესის გათვალისწინებით დიფერენცირებული სამკურნალო მიდგომის საჭიროებასთან დაკავშირებით

წინააღმდეგობრივია მონაცემები გენდერული სხვაობის შესახებ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის გამოსავლის თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მწვავე კორონარული სინდრომის გენდერული ასპექტების კვლევის აქტუალურობას.

თავი II

კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევის დიზაინი

შრომას საფუძვლად დაედო შპს ადაპტის ანგიოკარდიოლოგიურ კლინიკაში 2009-2010 წლებში მმი-ს დიაგნოზით ჰოსპიტალიზებული 603 პაციენტის მონაცემები.

კვლევაში ჩართვის სასელექციო კრიტერიუმები: პაციენტები მიმდინარე STEM-ით, პაციენტის ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე, სტენტირება შემოსვლიდან 4 სთ-ში

კვლევიდან გამორთვის კრიტერიუმები: სხვა მწვავე კორონარული სინდრომები, სტაბილური სტენოკარდია.

კლინიკური კვლევის მოდელი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

დიაგნოსტიკა – კვლევაში ჩართვა – სტენტირება – დინამიური დაკვირვება (მონიტორინგი) – გამოსავალი; დაკვირვება წარმოებდა 1 წლის განმავლობაში.

პაციენტების კვლევა მოიცავდა ანამნეზის შეკრებას, ანკეტირებას, კლინიკურ-ლაბორატორიულ, ბიოქიმიურ ანალიზს და ინსტრუმენტულ კვლევას - ექოსკოპია, კარდიოგრაფია, კორონაროგრაფია.

მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკა ხდებოდა კლინიკური, ეკგ, ლაბორატორიული და ექოკარდიოგრაფიული კვლევების მონაცემების საფუძველზე. რევასკულარიზაციის დაწყებისას ტკივილის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 6 სთ-ს, აღინიშნებოდა ST სეგმენტის ელევაცია 2 და მეტ განხრებში 0,1 მმ-ზე მეტად, ინფარქტის დიაგნოზის ვერიფიკაცია ხდებოდა სეგმენტური ასინერგიის უბნების გამოვლენით. ცენტრალური ჰემოდინამიკის მდგომარეობის შეფასების მიზნით ვსწავლობდით მარცხენა პარკუჭის ფუნქციურ მაჩვენებლებს: განდევნის ფრაქცია, დამოკლების ფრაქცია, საბოლოო სისტოლური და დიასტოლური ზომები და მოცულობები, ითვლებოდა დარტყმითი მოცულობა, წუთმოცულობა [2,3,4,6].

კვლევაში ჩართულ პაციენტებში გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის დეფინიცია ხდებოდა ESC/ACCF/AHA/WHF სამუშაო ჯგუფის მიერ 2007 წელს შემუშავებული მიოკარდიუმის ინფარქტის უნივერსალური დეფინიციის მიხედვით [174].

მიოკარდიუმის ინფარქტის დეფინიცია

ტერმინი მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი გულისხმობს მიოკარდიუმის იშემიით გამოწვეულ მიოკარდიუმის ნეკროზს, რასაც თან ახლავს კლინიკური გამოვლინებები.

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები:

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტის დიაგნოზის დასასმელად საკმარისია ჩამოთვლილიდან ერთი ან მეტი კრიტერიუმის არსებობა: 1. კარდიული ფერმენტების დონის მატება ან/და კლება ზედა ნორმულ ზღვარზე 99%-ით ან მეტად ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის ან მეტის თანაარსებობისას.

ახლად განვითარებული იშემიის ეკგ ნიშნები: ST სეგმენტისა და T კბილის ცვლილებები ან ჰისის კონის მარცხენა ფეხის სრული ბლოკადა;

ეკგ-ზე პათოლოგიური Q კბილის განვითარება.

ახლად განვითარებული ფუნქციური მიოკარდიუმის კლება ან /და ახალი კუმშვადობის დარღვევა.

მიოკარდიუმის ინფარქტის დამახასიათებელი ST სეგმენტისა და T კბილის ცვლილებები

მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტისათვის დამახასიათებელი ST სეგმენტისა და T კბილის ცვლილებები ჰისის კონის მარცხენა ფეხის სრული ბლოკადის ან მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიის არარსებობისას,

ST სეგმენტის ელევაცია

ST სეგმენტის ახლად განვითარებული ელევაცია 2 ან მეტ კონტაგოზურ განხრაში j წერტილიდან ≥ 0.2 მვ მამაკაცებისა და ≥ 0.15 მვ ქალთა პოპულაციაში- V2-V3 განხრებში და ≥ 0.1 მვ სხვა განხრებში(1).

გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტის დასადგენად საკმარისია მოცემული კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი კრიტერიუმის არსებობა.

1. პათოლოგიური q კბილის განვითარება სიმპტომების თანაარსებობით ან მის გარეშე ანამნეზში.

2. არაიშემიური მიზიეზის არარსებობისას გამოკვლევის ინსტრუმენტული მეთოდებით დადასტურებული ფუნქციური მიოკარდიუმის კლება ან /და კუმშვადობის დარღვევა.

STEMI-ს ე.კ.გ. ნიშნების შეფასება გაიდლაინის მიხედვით

STEMI-ს ე.კ.გ. ნიშნად ფასდება: ST-ელევაცია $\geq 0,2$ mV (2mm) V1-V4 განხრაში და $\geq 0,1$ mV(1მმ) სხვა გულმკერდის განხრებში, მწვავედ განვითარებული LBBB, გამოხატული ST დეპრესია V1—V4 განხრებში, რასაც ახლავს მაღალი R მარჯვენა პრეკარდიალ განხრებში და პოზიტიური T კბილები, რაც არის მაჩვენებელი თავის მხრივ ჭეშმარიტი უკანა მი-ს (მიუთითებს, რომ პროცესში შემომხვევი ტოტია ჩართული) [3,4].

ეკგ-ს გადაღება ხდებოდა 12 სტანდარტულ განხრაში ზოგადად მიღებული მეთოდიკით SIEMENS-ELEMA ფირმის MINGOGRAF 34 მოდელის ჩამწერზე 25 მმ/წმ სიჩქარით. ST სეგმენტის ელევაცია იზომებოდა J წერტილიდან და ითვლებოდა ST სეგმენტის ელევაციის ხარისხის ჯამით სტანდარტულ განხრებში. ექოკარდიოგრაფიული კვლევა ტარდებოდა ერთ და ორგანზომილებიან რეჟიმში TEBIOMEDICA-ს ფირმის SIM-5000 აპარატზე, 2,5 მგჰც-ის სიხშირის გადამწოდით სტანდარტული მეთოდიკით. გამოკვლევა ტარდებოდა შემდეგი სტანდარტული პოზიციებიდან: პარასტერნალური გრძელი და მოკლე ღერძი (მიტრალური

სარქვლის და პაპილარული კუნთების დონეზე), აპიკალური ორ- და ოთხკამერიანი პოზიციებიდან. გამოკვლევისას ფასდებოდა მიოკარდიუმის ინფარქტის ლოკალიზაცია და გავრცელება. მიოკარდიუმის ლოკალური კუმშვადობის შეფასება ხდებოდა პარასტერნალურ გრძელ და მოკლე ღერძებზე და აპიკალურ ორ- და ოთხკამერიან პოზიციებში. გამოყენებული იყო ამერიკის გულის ასოციაციის მიერ მოწოდებული მარცხენა პარკუჭის დაყოფა 16 სეგმენტად.

არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოსტიკა და ხარისხის დადგენა ხდებოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1999 წ. მოწოდებული რეკომენდაციის საფუძველზე: სისტოლური წნევის სტაბილური მომატება 140 მმვწყსვ და/ან დიასტოლურის – 90 მმ ვწყ სვ-ზე მეტად. შაქრიანი დიაბეტის დადგენა ხდებოდა ამერიკის დიაბეტოლოგთა ასოციაციის მიერ 1997 წელს მოწოდებული კრიტერიუმების საფუძველზე: 1. შაქრიანი დიაბეტის სიმპტომებს დამატებული სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატება 11 მმოლ/ლ-ზე მეტად დღის ნებისმიერ დროს შემთხვევით განსაზღვრისას. 2. უზმოზე სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატება 7,0 მმოლ/ლ-ზე მეტად. 3. გლუკოზისადმი ტოლერანტობის ტესტის ჩატარებისას სისხლში გლუკოზის დონის მომატება 11,1 მმოლ/ლ-ზე მეტად. ასევე დგინდებოდა შაქრიანი დიაბეტის ტიპები: ტიპი I - ინსულინდამოკიდებული, ტიპი II – ინსულინდამოუკიდებელი.

ზოგადკლინიკური გამოკვლევების გარდა ავადმყოფებს უტარდებოდა სისხლში ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების (საერთო ქოლესტერინი, მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების – HDL ქოლესტერინი, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების – LDL ქოლესტერინი, ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების – VLDL ქოლესტერინი, ტრიგლიცერიდები) განსაზღვრა. ქოლესტერინის სასურველი კონცენტრაცია სისხლში არის 5,2 მმოლ/ლ (200 მგ%)-მდე, ზომიერ მომატებად ითვლება 5,2 – 6,2 მმოლ/ლ (200 – 239 მგ%), ძლიერ მომატებად ითვლება ქოლესტერინის კონცენტრაცია სისხლში 6,2 მმოლ/ლ (240 მგ%)-ზე მეტი.

ინფარქტდამოკიდებული სისხლძარღვის ვერიფიცირებას ვახდენდით კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის – გაიდლაინის მიხედვით


Proximal LAD პროქსიმალური LAD	Proximal to first septal perforator სტენოზი პირველი სეპტალური პერფორატორის პროქსიმალურადაა	ST ↑ V1— 6 I, aVL and fascicular or bundle branch block	
Mid LAD შუა LAD	Proximal to large diagonal but distal to eirst septal perforator სტენოზი დიდი დიაგონალის პროქსიმალურადაა მაგრამ დისტალურად პირველი სეპტალური პერფორატორისაგან	ST ↑ V1— 6 I, aVL	
Distal LAD or Diagonal დისტალური LAD ან თვითონ დიაგონალი	Distal to large Diagonal or diagonal itself stenozi დიდი დიაგონალის დისტალურადაა ან თავად დიაგონალშია	ST ↑ V1—4 or I, aVL, V5—V6	
Moderate to large inferior (poerior, lateral, right ventricular) საშუალო ან დიდი ქვედა კედელი (უკანა, ლატერალური, მარჯვენა პარკუჭოვანი)	Proximal RC or Left circumflex სტენოზი მარჯვენა კორონარის პროქსიმალურადაა ან შემომხვევშია	ST ↑ II, III, aVF and any of the following: a. V1 V3R, V4R b. V5—6 c. R >S in V1—V2	ST ↑ V4R= proximal RC ST isoelect. V4R = Distal RC ST ↓ V4R = CX
Small inferior მცირე ზომის ქვედა კედელი	Distal RCA or left circumflex branch სტენოზი არის მარჯვენა კორონარის დისტალურ ნაწილში ან შემომხვევის	ST ↑ II, III, aVF only	დიაფრაგმული კედლის ინფარქტის ფონზე მარჯვენა განხრების

	ტოტშია		მიხედვით შესაძლოა ვიმსჯელოთ დაინტერესებული სისხლძარღვის ლოკალიზაციაზე
--	--------	--	---

ინფარქტდამოკიდებული სისხლძარღვის ვერიფიცირება

გამომწვევი სისხლძარღვის ვერიფიცირება: გაიდლაინის მიხედვით

კვლევის ალგორითმი



კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე მმი-ს რისკის ჯგუფების განსაზღვრისათვის რეტროსპექტულად შევისწავლეთ STEMI-ის მქონე 603 პაციენტის მონაცემები, მათ შორის 311 მამაკაცი(I) ჯგუფი და 292 ქალი (II ჯგუფი). შესწავლილ იქნა შემდეგი კომორბიდული ფაქტორები – ჰიპერტენზია, დიაბეტი, თირკმლის უკმარისობა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება. პაციენტთა მონაცემების შედარება მოხდა: სქესის მიხედვით და

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით - კაცები : 65 წელზე ნაკლები (Iა), 65-75 წლის ასაკის (Iბ), 75 წელზე უფროსი (Iც), ქალები: 65 წელზე ნაკლები ასაკის (IIა), 65-75 წლის ასაკის (IIბ), 75 წელზე უფროსი (IIც).

მახასიათებლები შედარდა როგორც საშუალო მნიშვნელობების მიხედვით, ისე მათი სიხშირეების მიხედვით ორივე ჯგუფში, რისთვისაც მოხდა ფაქტორთა კოდირება. შემდეგ განვსაზღვრეთ განსხვავების სტატისტიკური შეფასება ცალკეულ ნიშნებს შორის. შეფასებულ იქნა მმი-ს ფარდობითი შანსი (RR), და სარწმუნობის ინტერვალი(CI) თითოეული მახასიათებლისათვის ჯგუფების მიხედვით [198,208].

ლეტალობის რისკის დადგენისათვის ორივე ჯგუფი დაიყო გამოსავლის მიხედვით, დადგინდა ლეტალობის, განმეორებითი ანგიოგრაფიის და განმეორებითი რევასკულარიზაციის რისკის ფაქტორთა სიხშირეები ქალებსა და მამაკაცებში. შეფასებულ იქნა ლეტალობის ფარდობითი შანსი (OR) და სარწმუნობის ინტერვალი (95%CI) თითოეული მახასიათებლისათვის ჯგუფების მიხედვით ჰოსპიტალში, 45 დღის შემდეგ და 1 წლის შემდეგ; აგრეთვე განმეორებითი ანგიოგრაფიის და განმეორებითი რევასკულარიზაციის ფარდობითი შანსი (OR) და სარწმუნობის ინტერვალი (95%CI) თითოეული მახასიათებლისათვის ჯგუფების მიხედვით ჰოსპიტალში, 45 დღის შემდეგ და 1 წლის შემდეგ.

ფაქტორთა შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრისათვის დადგინდა კორელაციები კომორბიდული სპექტრის მახასიათებლებს, პაციენტის ასაკობრივ ჯგუფებსა და სტენტირების გამოსავალს შორის.

ჰოსპიტალური ლეტალობის რისკის სტრატეგიკაციისათვის ტროპონინის მაჩვენებლის პროგნოზული ღირებულების დასადგენად შევისწავლეთ ტროპონინის საშუალო მაჩვენებლები ქალებსა და მამაკაცებში ლეტალობისა და კეთილსაიმედო გამოსავლის ჯგუფებში.

ჩატარდა ბინარული ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი, დადგინდა ტესტის მგრძობელობა და სპეციფიურობა, დადებითი და უარყოფითი შედეგის პროგნოზული ღირებულება და დიაგნოსტიკური სიზუსტე, განისაზღვრა

ტროპონინის ზღვრული მაჩვენებელი ლეტალობის პროგნოზისთვის როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში.

II ეტაპზე ჩატარდა კოჰორტული, პროსპექტული, ღია არარანდომიზებული კვლევა, დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა შპს ადაპტის ანგიოკარდიოლოგიური კლინიკაში 2009-2010 წლებში ST სეგმენტის ელევაციით შემოსული 110 პაციენტი, რომელთაც ჩატარდათ სტენტირება. მათ შორის 58 მამაკაცი და 52 ქალი. პაციენტთა საშუალო ასაკი შეადგენდა 66,5 წელს.

შეფასდა გართულებების სიხშირეები და თიმი ნაკადი სტენტირების შემდეგ სქესის მიხედვით.

პერიპროცედურული გართულებების პრედიქტორების გამოსავლენად გართულების მქონე პაციენტთა მონაცემები შედარდა პაციენტთა ჯგუფის მონაცემებს, რომელთაც არ აღენიშნათ პერიპროცედურული გართულებები. ჩატარდა ასევე ალტერნატიული ანალიზი გართულების რისკის ფაქტორებს შორის სქესის მიხედვით.

პაციენტთა გამოკვლევა წარმოებდა საექიმო ეთიკის პრინციპების დაცვით. კვლევის დაწყებამდე მიღებული იქნა თსუ ეთიკური კომიტეტის თანხმობა შრომის შესრულებაზე

კოჰორტული კვლევის შემთხვევაში პაციენტებზე დაკვირვება იწყებოდა კლინიკაში შემოსვლის მომენტიდან ანუ ათვლის წერტილი (ZERO TIME) ერთნაირი იყო ყველა გამოსაკვლევო პირისათვის და შეესაბამებოდა მმი-ს დადგენის მომენტს.

სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი მაჩვენებლების შეფასებისას ვითვლიდით საშუალოს, საშუალო კვადრატულ გადახრას.

ჯგუფებს შორის განსხვავების სარწმუნობას რაოდენობრივი მაჩვენებლების შემთხვევაში ვადგენდით სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით, შედარებისას ვახდენდით დისპერსიების ტოლობის შეფასებას ლევენის მიხედვით (Levene's Test), მიღებული შედეგების მიხედვით ხდებოდა შესაბამისი t -კრიტერიუმის

შერჩევა. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ვითვლიდით საშუალო სიხშირეს, ჯგუფებს შორის განსხვავების შეფასებას ვახდენდით – F(ფიშერის) კრიტერიუმით. კორელაციები კომორბიდებსა და გამოსავალს შორის განისაზღვრა სპირმენის(Spearman) რანგული კორელაციის საშუალებით. . ფარდობითი შანსის დადგენა ხდებოდა 2*2 ტაბულის მეთოდით (crosstab). განსხვავება ითვლებოდა სარწმუნოდ, როდესაც $p < 0.05$ [198,208,214].

მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის SPSS 22 –ის გამოყენებით.


თავი III

საკუთარი კვლევის შედეგები

3.1. კომორბიდული სპექტრის პროგნოზული მნიშვნელობის გენედერული მახასიათებლები STEM-ის მქონე პაციენტებში

კომორბიდული სპექტრის შესასწავლად პაციენტები დავყავით ასაკობრივ ჯგუფებად - <65 წ., 65-75 წლის ასაკის და >75 წ. ზემოაღნიშნულის გათავალისწინებით ფორმირებული იყო 6 შესასწავლი ჯგუფი (მამაკაცებითა ჯგუფები - შესაბამისად Iა, Iბ, Iგ და ქალთა ჯგუფები - შესაბამისად IIა, IIბ, IIგ). ქალებისა და მამაკაცების ასაკობრივი განაწილება მოცემულია დიაგრამაზე

დიაგრამ 3.1



როგორც ვხედავთ, 65 < ასაკის მამაკაცების სიხშირე აღემატება ამ ასაკის ქალების სიხშირეს, მაშინ როდესაც >75 წლის ასაკობრივ ჯგუფში ქალების სიხშირე მეტია.

ჩვენმა კვლევამ აჩვენა რომ STEM-ის მქონე ქალებსა და მამაკაცებს შორის დიაბეტის, თირკმლის უკმარისობისა და ფქოდის სიხშირეებს შორის სარწმუნო განსხვავება არ არის(ცხრილი№3.1), ხოლო ჰიპერტენზიის სიხშირე სარწმუნოდ მეტია ქალებში.

ცხრილი 3.1

კომორბიდების სტატისტიკური შეფასება სქესის მიხედვით **STEMI** -ის მქონე პაციენტებში

ომორბიდები	კაცები n=311		ქალები n=292		P
	II		I		
	Abs.	frequency	Abs.	Frequency	
დიაბეტი	124	0.40	123	0.42	0.5775

იპერტენზია	195	0.63	219	0.75	0.0011
თირკმლის უკმარისობა	46	0.15	58	0.20	0.0998
ფქოდ	63	0.20	44	0.15	0.0959

თუმცა ასაკობრივი ჯგუფების შედარებამ გვიჩვენა, რომ ჯგუფებს შორის განსხვავება სარწმუნოა დიაბეტის, ჰიპერტენზიისა და თირკმლის უკმარისობის შემთხვევაში


კომორბიდების სტატისტიკური შეფასება **STEMI** -ის მქონე პაციენტებში სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოცემულია 3.2 ცხრილში

ცხრილი 3.2

კომორბიდების სტატისტიკური შეფასება **STEMI** -ის მქონე პაციენტებში სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ომორბიდები	ქალები n=292						კაცები n=311						P
	IIa n=89		IIb n=129		IIc n=74		Ia n=124		Ib n=136		Ic n=51		
	Abs.	Freq.	Abs.	Freq.	Abs.	Freq.	Abs.	Freq.	Abs.	Freq.	abs.	Freq.	
იაბეტი	26	0.292	60	0.465	37	0.500	39	0.315	59	0.434	25	0.490	0.0079
იპერტენზია	53	0.596	106	0.822	60	0.811	76	0.613	74	0.544	45	0.882	0.0000
თირკმლის უკმარისობა	11	0.124	21	0.163	26	0.351	13	0.105	18	0.132	15	0.294	0.0000
ქოდ	11	0.124	18	0.140	15	0.203	24	0.194	24	0.176	15	0.294	0.1387

დიაგრამ 3.2



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 65 წელზე ნაკლები ასაკის კაცებში მაღალია დიაბეტის, ჰიპერტენზიის სიხშირე და ნაკლებია CHD-ს სიხშირე შესაბამისი ასაკის ქალებთან შედარებით. დიაბეტის და ჰიპერტენზიის სიხშირე მაღალია 65-75 წლის ასაკის ქალებში მამაკაცებთან შედარებით.

ცხრილი 3.3

განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობათა სტატისტიკური შეფასება სქესის მიხედვით

	mamrobiTi (N=311)		mdedrobiTi (N=292)		t	p
	Mean	Std. Dev.	Mean	Std. Devi.		
EF%	47.65	11.136	44.63	12.441	3.15	0.0017

მამაკაცებში განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობა სარწმუნოდ მაღალია, ვიდრე ქალებში.

STEM-ის მქონე პაციენტებში განდევნის ფრაქციის შესწავლამ გამოავლინა განსხვავება სქესისა და ასაკის მიხედვით

ცხრილი 3.4

განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობის განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით


ასაკი	<65(I)		65-75(II)		>75(III)	
EF	Mean	Std. Dev.	Mean	Std. Dev.	Mean	Std. Dev.
ქალები	48.584	12.789	44.713	11.285	39.72	12.367
კაცები	48.93	11.265	48.05	11.257	43.47	9.603
t	-0.20		-2.41		-1.82	
p	0.83947		0.0166		0.0710	

განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობა 65-75 წლის კაცებში სარწმუნოდ მეტია, ვიდრე ქალებში. 65 წელზე ნაკლებ და 75 წელზე უფროს ასაკობრივ ჯგუფებში განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობათა შორის სქესის მიხედვით სარწმუნო სხვაობა არ არის.

ცხრილი 3.5

განდევნის ფრაქციის სტატისტიკური შეფასება ასაკისა და სქესის მიხედვით

	I-II		I-III		II-III	
	t	p	t	p	t	p
ალეზი	2.30	0.0225	4.47	0.0000	2.86	0.0049
აცეზი	0.63	0.532	3.24	0.0016	2.77	0.0067



ქალებში ასაკობრივ ჯგუფებს შორის განდევნის ფრაქციის მიხედვით აღინიშნება სარწმუნო განსხვავება – ასაკის მატებასთან ერთად განდევნის ფრაქციის საშუალო მნიშვნელობა მცირდება, ხოლო მამაკაცებში 75 წელზე უფროსებს შორის განდევნის ფრაქცია სარწმუნოდ ნაკლებია, 75 წელზე ნაკლები ასაკის პაციენტებთან შედარებით.

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ კომორბიდებს შორის კორელაციური კავშირი.

დიაბეტი, ჰიპერტენზია, თირკმლის უკმარისობა და ფქოდი სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს 75> ასაკთან და უარყოფითს 65 წელზე ნაკლებ ასაკთან(ცხრილი 3.6)

ცხრილი 3.6

კორელაციები ასაკობრივ განაწილებასა და კომორბიდებს შორის

		დიაბეტი	ჰიპერტენზია	თირკმლის უკმარისობა	ფქოდი
<65	r	-0.155**	-0.129**	-0.117**	-0.025
	p	0.000	0.002	0.004	0.534
65-75	r	0.074	-0.014	-0.059	-0.044
	p	0.069	0.732	0.146	0.281
>75	r	0.092*	0.169**	0.211**	0.084*
	p	0.024	0.000	0.000	0.040

ლეტალობასა და კომორბიდულ მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად ჩავატარეთ კორელაციური ანალიზი, რომლის შედეგები მოცემულია 3.7 ცხრილში

ჰოსპიტალური, 45 დღიანი და 1 წლიანი ლეტალობა სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს დიაბეტთან, ჰიპერტენზიასთან, CKD-სთან და ფქოდთან, 75> ასაკთან და უარყოფით კორელაციას 65 წელზე ნაკლებ ასაკთან.

ცხრილი 3.7

კორელაციური კავშირი ლეტალობასა და კომორბიდულ მახასიათებლებს შორის

		ჰოსპიტალური ლეტალობა	45 დღიანი ლეტალობა	1 წლიანი ლეტალობა
დიაბეტი	r	0.315**	0.331**	0.362**
	p	0.000	0.000	0.000
ჰიპერტენზია	r	0.271**	0.339**	0.340**
	p	0.000	0.000	0.000
თირკმლის უკმარისობა	r	0.402**	0.444**	0.418**
	p	0.000	0.000	0.000
ფეოდ	r	0.146**	0.206**	0.226**
	p	0.000	0.000	0.000
მდედრობითი	r	0.009	-0.044	0.030
	p	0.816	0.277	0.457
<65	r	-0.093*	-0.137**	-0.134**
	p	0.022	0.001	0.001
65-75	r	0.004	0.018	-0.007
	p	0.913	0.663	0.860
>75	r	0.105*	0.140**	0.167**
	p	0.010	0.001	0.000

ამრიგად, მმი-ს პრედიქტორები კორელირებენ როგორც პაციენტის ასაკთან, ისე სტენტირების შემდგომ ლეტალობასთან.

3.2. ST- ელევაციით მიმდინარე მიოკარდიუმის ინფარქტის გამოსავლის შეფასება სქესის მიხედვით პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ რევასკულარიზაცია სტენტირებით

STEMI-ს მქონე პაციენტთა სტენტირების შედეგების შეფასება მოვახდინეთ განმეორებითი ანგიოგრაფიის, განმეორებითი სტენტირებისა და საერთო ლეტალობის სიხშირეთა მიხედვით ჰოსპიტალურ პერიოდში, სტენტირებიდან 45 დღის შემდეგ და 1 წლის შემდეგ.

ქალებსა და მამაკაცებს შორის სტენტირების შემდგომი განმეორებითი - შიდა-ჰოსპიტალური და 45 დღიანი ინტერვალით ანგიოგრაფიისა და რევასკულარიზაციის სიხშირის მიხედვით სქესთა შორის განსხვავება არ გამოვლინდა, ხოლო სტენტირებიდან 1 წლის განმავლობაში განმეორებითი ანგიოგრაფიისა და რევასკულარიზაციის სიხშირე სარწმუნოდ მეტი აღმოჩნდა ქალებში.

ცხრილი 3.9

ლეტალობის სიხშირეთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

ლეტალობა	ქალები n=292						კაცები n=311						P
	IIa n=89		IIb n=129		IIc n=74		Ia n=124		Ib n=136		Ic n=51		
	Ab s.	Freq.	Ab s.	Freq.	Ab s.	Freq.	Abs .	Freq.	Ab s.	Freq.	abs .	Freq.	
hospital uri	10	0.11	20	0.15	19	0.25	15	0.12	24	0.176	11	0.21	0.0989
		2		5		7		1				6	
45- dRiani	12	0.13	36	0.27	25	0.33	28	0.22	38	0.279	24	0.47	
		5		9		8		6				1	0.0005
1- wliani	28	0.31	54	0.41	46	0.62	43	0.34	57	0.419	27	0.52	0.0006
		5		9		2		7				9	

როგორც ცხრილი 3.4-დან ჩანს, ჯგუფებს შორის განსხვავება სარწმუნოა 45 დღიანი და 1 წლიანი სიკვდილობის მიხედვით, ქალებს შორის მამაკაცებთან შედარებით ლეტალობა 65 წელზე ახალგაზრდა ასაკში ნაკლებია, ხოლო 75 წელზე უფროს ასაკში მეტია. 65-75 წლის ასაკში განსხვავება არ არის სარწმუნო. ამასთან, ასაკის ზრდასთან ერთად ლეტალობის სიხშირე იზრდება ორივე სქესის ინდივიდებს შორის.

განმეორებითი რევასკულარიზაციისა და ანგიოგრაფიის შედარება ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით მოცემულია №3.10 და 3.11 ცხრილებში

ცხრილი 3.10

განმეორებითი ანგიოგრაფიის შედარება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის **STEMI** -ის დროს

	ასაკი	განმეორებითი ანგიოგრაფია				P
		ალეები		კაცები		
		abs	Freq.	Abs	Freq.	
ჰოსპიტალური	<65	1	0.011	3	0.024	0.8625
	65-75	5	0.039	6	0.044	0.9203
	>75	8	0.108	2	0.039	0.2943
45დღიანი	<65	1	0.011	3	0.024	0.8625
	65-75	7	0.054	7	0.051	0.8625
	>75	10	0.135	2	0.039	0.1380
1 წლიანი	<65	6	0.067	7	0.056	0.9203
	65-75	9	0.070	10	0.074	0.9203
	>75	30	0.405	7	0.137	0.0027

ასაკობრივი ჯგუფებში განმეორებითი ანგიოგრაფიის სიხშირე სტენტირებიდან 1 წლის განმავლობაში სარწმუნოდ მეტია 75 წელზე უფროს ქალებში ამ ასაკის მამაკაცებთან შედარებით.

ცხრილი 3.11

განმეორებითი რევასკულარიზაციის შედარება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქალებსა და მამაკაცებს შორის **STEMI** -ის დროს

	ასაკი	ქალი		კაცი		P
		აბს	სიხშირე.	აბს	სიხშირე.	
ჰოსპიტალური	<65	1	0.011	3	0.024	0.8625
	65-75	4	0.031	2	0.015	0.6172
	>75	5	0.068	1	0.020	0.4101
45დღიანი	<65	1	0.011	2	0.016	0.7773
	65-75	5	0.039	3	0.022	0.6548
	>75	5	0.068	1	0.020	0.2059
1 წლიანი	<65	1	0.011	5	0.040	0.4020
	65-75	7	0.054	2	0.015	0.1516
	>75	29	0.392	1	0.020	0.0000

განმეორებითი რევასკულარიზაციის სიხშირე სტენტირებიდან 1 წლის განმავლობაში სარწმუნოდ მეტია 75 წელზე უფროს ქალებში ამ ასაკის მამაკაცებთან შედარებით.

კვლევის შემდეგ ეტაპზე გაანალიზებული იყო განმეორებითი ანგიოგრაფიის და განმეორებითი რევასკულარიზაციის ფარდობითი შანსი ქალებში მამაკაცებთან შედარებით. ცხრილი 3.12 და 3.13

ცხრილი 3.12

განმეორებითი ანგიოგრაფიის ფარდობითი შანსის შეფასება ქალებში მამაკაცებთან შედარებით

განმეორებითი ანგიოგრაფია	ასაკი	OR	95% CI -OR	
ჰოსპიტალური	<65	0.46	0.05	2.80
	65-75	0.87	0.26	5.36
	>75	2.97	0.60	8.29
	სულ	1.37	0.61	9.03
45 დღის განმავლობაში	<65	0.46	0.05	2.80
	65-75	1.06	0.36	6.42
	>75	3.83	0.80	10.61
	სულ	1.64	0.77	10.40
1 წლიანი	<65	1.21	0.39	7.81
	65-75	0.95	0.37	6.92
	>75	4.29	1.70	17.63
	სულ	2.18	1.29	15.19

სტენტირებიდან 1 წლის განმავლობაში განმეორებითი ანგიოგრაფიის ფარდობითი შანსი სარწმუნოდ მაღალია ქალებში კაცებთან შედარებით, ძირითადად 75 წელზე უფროსი ასაკის პირებში გამოვლენილი მნიშვნელოვანი განსხვავების გამო.

ცხრილი 3.13

განმეორებითი რევასკულარიზაციის ფარდობითი შანსის შეფასება ქალებში მამაკაცებთან შედარებით


განმეორებითი რევასკულარიზაცია	ასაკი	OR	95%CI -OR	
ჰოსპიტალური	<65	0.46	0.05	2.80
	65-75	2.14	0.39	6.24
	>75	3.62	0.41	7.69
	სულ	1.80	0.65	8.80
45 დღის განმავლობაში	<65	0.69	0.06	2.45
	65-75	1.79	0.42	6.46
	>75	3.62	0.41	7.69
	სულ	1.62	0.57	8.11
1 წლიანი	<65	0.27	0.03	4.12
	65-75	3.84	0.78	10.88
	>75	32.22	4.22	71.05
	სულ	5.50	2.51	24.48

1 წლის განმავლობაში განმეორებითი რევასკულარიზაციის ფარდობით შანსი მაღალია მდებრობითი სქესის ინდივიდებში. გენდერული განსხვავება განსაკუთრებით გამოკვეთილია 75 წელზე უფროსი ასაკის პაციენტებში.

ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობითი შანსი **STEM**-ის მქონე პაციენტებში კომორბიდული სპექტრის გათვალისწინებით მოცემულია 3.3.დიაგრამაზე.

დიაგრამ 3.3

ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება სტემის მქონე პაციენტებში




დიაბეტი, ჰიპერტენზია, თირკმლის უკმარისობა და 75 წელზე უფროსი ასაკი ზრდის ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობით შანსს ქალებში, დიაბეტი, ჰიპერტენზია, თირკმლის უკმარისობა და ფქოდი ზრდის ჰოსპიტალური ლეტალობის ფარდობით შანსს კაცებში

45 დღიანი ლეტალობის ფარდობითი შანსი STEMI -ს მქონე პაციენტებში მოცემულია 3.4 დიაგრამაზე

დიაგრამა 3.4


45 დღიანი ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება STEMI –ს მქონე პაციენტებში



დიაბეტი, ჰიპერტენზია, თირკმლის უკმარისობა და 75 წელზე უფროსი ასაკი ზრდის 45 დღიანი ლეტალობის რისკს ქალებში, დიაბეტი, ჰიპერტენზია, ფქოდი, თირკმლის უკმარისობა და 75 წელზე უფროსი ასაკი ზრდის 45 დღიანი ლეტალობის ფარდობით შანსს კაცებში. 65 წელზე ნაკლები ასაკი ამცირებს 45 დღიანი ლეტალობის ფარდობით შანსს ორივე სქესის ინდივიდებში.(დიაგრამ 3.4)

1 წლიანი ლეტალობის ფარდობითი შანსი STEMI -ის მქონე პაციენტებში მოცემულია 3.5 დიაგრამაზე

1 წლიანი ლეტალობის ფარდობითი შანსის შეფასება STEM-ის მქონე პაციენტებში



დიაბეტი, ჰიპერტენზია, თქდ, ფქოდ და 75 წელზე უფროსი ასაკი ზრდის 1 წლიანი ლეტალობის ფარდობით შანსს ქალებში, დიაბეტი, ჰიპერტენზია, ფქოდ, თქდ ზრდის 1 წლიანი ლეტალობის ფარდობით შანსს კაცებში. 65 წელზე ნაკლები ასაკი ამცირებს 1 წლიანი ლეტალობის ფარდობით შანსს ქალებში.

3.3. სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა რისკის ფაქტორთა შეფასება სქესის მიხედვით STEM-ის დროს

სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა რისკის ფაქტორთა შეფასებისათვის შეირჩა ერთგვაროვანი ჯგუფი, 66-დან 78წ-მდე ასაკის 110 პაციენტი, რომელთაც ჰქონდათ მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი ST ელევაციით. ჩვენს მიერ გამოკვლეულ პაციენტთა შორის მამაკაცთა და ქალთა საშუალო ასაკი სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა – შესაბამისად $66.52+4.780$ და $66.65+5.677$, $t=0.02$, $p=0.8913$. პირდაპირი სტენტირება ჩატარდა მამაკაცთა 62%-ს, ხოლო 38 %-ს ანგიოპლასტიკა+სტენტი, ხოლო ქალებში პირდაპირი სტენტირება ჩატარდა 50%-სა და ანგიოპლასტიკა+სტენტი 50%-ს.

კომორბიდული ფაქტორების შესწავლამ გვიჩვენა, რომ იმ პირთა სიხშირე, რომელთაც აღენიშნებათ არტერიული ჰიპერტენზია, დისლიპიდემია და ჰიპოტენზია სტენტირებამდე, სარწმუნოდ მაღალია ქალებში, ხოლო მწვევლების სიხშირე მეტია მამაკაცებში (ცხრილი 3.14).

კვლევამ აჩვენა, რომ EF საშუალო მნიშვნელობა მამაკაცებში ქალებთან შედარებით სარწმუნოდ მეტია (შესაბამისად $46.83+9.435$ და $41.04+10.288$; $p=0.0028$).

ცხრილი 3.14

რისკის ფაქტორების სტატისტიკური შეფასება მამ-ს დროს სქესის მიხედვით

რისკის ფაქტორები	კაცი n=58		ქალი n=52		F	p
	mean	St.dev.	Mean	St.dev.		
მწვეელი	0.64	0.485	0.42	0.499	5.24	0.0240
დისლიპიდემია	0.14	0.348	0.50	0.505	19.51	0.0000
დიაბეტი	0.33	0.473	0.42	0.499	1.06	0.3055
თირკმლის	0.17	0.381	0.15	0.364	0.07	0.7950

უკმარისობა						
ფქოდ	0.21	0.409	0.15	0.364	0.51	0.4759
არტერიული ჰიპერტენზია	0.53	0.503	0.77	0.425	6.90	0.0099
გადატანილი მმი	0.41	0.497	0.58	0.499	2.94	0.0890
გადატანილი PCI	0.28	0.451	0.27	0.448	0.01	0.9386
გადატანილი შუნტირება	0.31	0.467	0.25	0.437	0.49	0.4870
ფიბრილაცია სტენტირებამდე	0.36	0.485	0.23	0.425	2.26	0.1360
ჰიპოტენზია სტენტირებამდე	0.16	0.365	0.38	0.491	7.83	0.0061

სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნა ანამნეზში მმი-ს, PCI და შუნტირების სიხშირებს შორის, ფიბრილაციის სიხშირე სტენტირებამდე არასარწმუნოდ მეტი იყო ქალებში.

ცხრილი 3.15

სისხლძარღვთა ანატომიის მახასიათებლების სიხშირეთა სტატისტიკური შეფასება მმი-ს დროს სქესის მიხედვით

	კაცი n=58		ქალი n=52		F	p
	mean	St.dev.	Mean	St.dev.		
დაზიანებული სისხლძარღვები						
LDA	0.66	0.479	0.42	0.499	6.18	0.0144
CX	0.48	0.504	0.35	0.480	2.10	0.1497
RA	0.33	0.473	0.58	0.499	7.23	0.0083
მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანება	0.40	0.493	0.42	0.499	0.08	0.7800

მმი-ს დროს ST ელევაციის მქონე პაციენტებში სისხლძარღვთა ანატომიური მახასიათებლები სქესის მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა (ცხრილი 3.10): მამაკაცებში სარწმუნოდ მაღალია წინა დაღმავალ არტერიასთან (LDA)

დაკავშირებული ინფარქტი, მსგავსი ტენდენცია ვლინდება შემომხვევი არტერიის (CX) დაზიანების სიხშირის თვალსაზრისით, ხოლო მარჯვენა კორონარული არტერიის დაზიანების (RA) სიხშირე სარწმუნოდ ჭარბობს ქალებში, მრავალსისხლმარღვოვანი დაზიანებების სიხშირე უმნიშვნლოდ განსხვავდება ორივე ჯგუფში(ცხრილი2).

determination of the infarct-related artery (IRA) (left anterior descending artery = LAD, left circumflex artery = LCX and right coronary artery = RCA or the disease of the left main coronary artery (LMCA)

სტენტირების პერიპროცედურული გართულება დაფიქსირდა 70(63.64%) შემთხვევაში, მათგან 39 მამაკაცი (მამაკაცების 67.24%), 31 ქალი(ქალების 61.54%).

ცხრილი 3.16

სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა სტატისტიკური შეფასება სქესის მიხედვით

	კაცი n=39		ქალი n=31		F	p
	Mean	St.dev.	Mean	St.dev.		
პერიპროცედურული ფიბრილაცია	0.45	0.502	0.54	0.503	0.88	0.3494
პერიპროცედურული ჰიპოტენზია	0.28	0.451	0.23	0.425	0.29	0.5918
პერიპროცედურული დისსექცია	0.17	0.381	0.04	0.194	5.21	0.0244
სტენტ.თრომბოზი	0.21	0.409	0.08	0.269	3.79	0.0543
ნებ.გართ.	1.33	0.473	1.40	0.495	0.68	0.4111

პერიპროცედურულ გართულებებს შორის პრევალირებს ფიბრილაცია, ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირით გამოირჩევა პერიპროცედურული დისსექცია. ამასთან, სქესთა შორის სარწმუნო განსხვავება აღინიშნა მხოლოდ ორ შემთხვევაში – პერიპროცედურული დისსექციის და სტენტის თრომბოზის სიხშირე სარწმუნოდ მეტია მამაკაცებში(ცხრილი 3.11).

Post –timi ნაკადის ცვლილება სტენტირების შედეგად მოცემულია №3.12 ცხრილში. ქალებში მამაკაცებთან შედარებით სარწმუნოდ მაღალია სტენტირების

შემდგომი თიმი ნაკადის (timi flow) საშუალო მაჩვენებელი “2”, მამაკაცებში ქალებთან შედარებით მაღალია თიმი ნაკადი “3”, ხოლო თიმი ნაკადის მაჩვენებელი “1” ქალებში საერთოდ არ დაფიქსირდა.

ცხრილი 3.17

სტენტირების შემდგომი ნაკადის შეფასება სქესის მიხედვით

	კაცი n=58		ქალი n=52		F	P
	Mean	St.dev.	Mean	St.dev.		
Post –timi ნაკადი 1	0.10	0.307	0.00	0.000	5.89	0.0169
Post-timi ნაკადი 2	0.31	0.467	0.54	0.503	6.08	0.0152
Post timi ნაკადი 3	0.59	0.497	0.46	0.503	1.71	0.1944

თიმი ნაკადი სტენტირების შემდეგ მამაკაცებთან შედარებით სარწმუნოდ უმჯობესდება ქალებში.

კვლევის შემდეგ ეტაპზე მოვახდინეთ რისკის ფაქტორების შედარება გენდერული ჯგუფების შიგნით – შედარდა ორ-ორი ჯგუფი – პაციენტები პერიპროცედურული გართულებით და გართულების გარეშე. ქალებს შორის გამოიკვეთა პერიპროცედურულ გართულებათა პრედიქტორები: არტერიული ჰიპერტენზია (გართულების შემთხვევაში - $0.87+ 0.341$) გართულების გარეშე $0.62,+ 0.498$ ($p=0.0348$); დიაბეტი - შესაბამისად $0.55+0.506$ და $0.24+0.436$ ($p=5.25$). მამაკაცებში ეს მონაცემები გართულების ჯგუფში კეთილსაიმედო ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მომატებული არ აღმოჩნდა.

ST ელევაციის მქონე პაციენტებში PCI-ს გამოსავალში სისხლძარღვთა ანატომიური მახასიათებლების როლის შესასწავლად შევადარეთ დაზიანებული სისხლძარღვების განაწილება კეთილსაიმედო და გართულების ჯგუფებში ქალებში და კაცებში ცალკ-ცალკე (ცხრილები 3.13, 3.14).

დაზიანებული სისხლძარღვების შეფასება პერიპროცედურული
გართულების მიხედვით ქალებში

დაზიანებული სისხლძარღვები	გართულების ჯგუფი		კეთილსაიმედო ჯგუფი		F	P
	mean	St.dev.	Mean	St.dev.		
LDA	0.19	0.402	0.58	0.502	8.83	0.0045
CX	0.33	0.483	0.35	0.486	0.02	0.8760
RA	0.57	0.507	0.58	0.502	0.00	0.9486
მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანება	0.24	0.436	0.55	0.506	5.25	0.0262

ქალებში გართულების ჯგუფში კეთილსაიმედო გამოსავლის ჯგუფთან შედარებით სარწმუნოდ მაღალი იყო მარცხენა შემომხვევი არტერიის დაზიანება - და მრავალრიცხოვანი სისხლძარღვების დაზიანება.

ცხრილი 3.19

დაზიანებული სისხლძარღვების შეფასება პერიპროცედურული
გართულების მიხედვით კაცებში

დაზიანებული სისხლძარღვები	გართულების ჯგუფი		კეთილსაიმედო ჯგუფი		F	P
	mean	St.dev.	Mean	St.dev.		
LDA	0.68	0.478	0.64	0.486	0.102	0.7506
CX	0.53	0.513	0.46	0.505	0.208	0.6501
RA	0.32	0.478	0.33	0.478	0.017	0.8960
მრავალსისხლძარღვოვანი დაზიანება	0.42	0.507	0.38	0.493	0.069	0.7945

მამაკაცებში სისხლძარღვთა მახასიათებლები გართულების და კეთილსაიმედო ჯგუფში სარწმუნოდ არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც ნიშნავს, რომ მამაკაცებში სტენტირების გართულება არ არის დაკავშირებული ინფარქტადმოკიდებული არტერიის ანატომიურ მახასიათებლებზე.

ამრიგად, ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა სარწმუნო განსხვავება სქესის მიხედვით სტენტირების პერიპროცედურულ გართულებებს შორის.

გართულებათა შორის პრევალირებდა პერიპროცედურული ფიბრილაცია – ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირით გამოირჩეოდა პერიპროცედურული დისსექცია. ამასთან, სქესთა შორის სარწმუნო განსხვავება აღინიშნა მხოლოდ ერთ შემთხვევაში – პერიპროცედურული დისსექციის და სტენტის თრომბოზის სიხშირე სარწმუნოდ მეტი აღმოჩნდა მამაკაცებში.

იმ პირთა სიხშირე, რომელთაც აღენიშნებათ არტერიული ჰიპერტენზია, დისლიპიდემია და ჰიპოტენზია სტენტირებამდე, სარწმუნოდ მაღალია ქალებში, ხოლო მწვევლების სიხშირე მეტია მამაკაცებში. ქალებს შორის პერიპროცედურულ გართულებათა პრედიქტორებია არტერიული ჰიპერტენზია და დიაბეტი, ხოლო მამაკაცებში ამ ფაქტორების სარწმუნო პროგნოზული ღირებულება არ გამოვლინდა. ST ელევაციის მქონე მმი-ს დროს მამაკაცებში სარწმუნოდ მაღალია წინა აღმავალ არტერიასთან (LDA) დაკავშირებული ინფარქტი, ამავე დროს მამაკაცებში სისხლძარღვთა ანატომიური თავისებურებები არ წრმოადგენენ სტენტირების პერიოპერაციული გართულების პრედიქტორებს. ქალებში, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოდ ჭარბობს მარჯვენა კორონარული არტერიის დაზიანების(RA) სიხშირე, სტენტირების პერიპროცედურული გართულების რისკის ფაქტორია წინა დაღმავალი არტერია და სისხლძარღვების მრავლობითი დაზიანება.

ამგვარად, კვლევის შედეგების მიხედვით სტენტირების პერიპროცედურულ გართულებათა საერთო სიხშირე სქესთა შორის სარწმუნოდ არ განსხვავდება. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ გამოვლინდა გართულებათა სპექტრისა და დაზიანებულ სისხლძარღვთა ანატომიის გამოხატული გენდერული განსხვავებები.

3.4. კორელაციური კავშირის შეფასება სტენტირების პერიპროცედურულ გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის

ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა ასოციაციები სტენტირების პერიპროცედურულ გართულებებსა და პაციენტის ინიციალურ მახასიათებლებს შორის, რამაც მოგვცა საფუძველი შეგვესწავლა სტენტირების პერიპროცედურული გართულებების კორელაციური კავშირი STEMI რისკის ფაქტორებთან, კომორბიდულ მახასიათებლებთან, პაციენტის ანამნეზურ მონაცემებთან და სქესთან.

3.20 ცხრილში მოცემულია კორელაციური კავშირი კად –ის რისკის ფაქტორებსა, კომორბიდულ მახასიათებლებსა და STEMI-ის რისკის კატეგორიის შეფასების მახასიათებლებსა, დაზიანებულ სისხლძარღვთა ანატომიურ თავისებურებებსა, კორონარული ინტერვენციის ხასიათსა და პერიპროცედურულ გართულებებს შორის

როგორც ცხრილი 3.20-დან ჩანს, სიგარეტის წვეა სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს გადატანილი PCI-სთან და CX-თან, უარყოფითს - RA-სთან გადატანილი მმი სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს დიაბეტთან, თირკმლის უკმარისობასთან, არტერიულ ჰიპერტენზიასთან, ფქოდთან, გადატანილი PCI-სთან და გადატანილი შუნტირებასან,

გადატანილი PCI სარწმუნო დადებით კორელაციას ამჟღავნებს დისლიპიდემიასთან, ფქოდთან, არტერიული ჰიპერტენზიასთან, უარყოფითს - გადატანილ შუნტირებასან, გადატანილი შუნტირება – ფქოდთან.

ცხრილი 3.20

კორელაციური კავშირი რისკის ფაქტორებსა და კომორბიდულ მახასიათებლებს შორის

		გადატანილი მმი	გადატანილი PCI	გადატანილი შუნტირება	ფიბრილატია სტენტირებამდე	ჰიპერტენზია სტენტირებამდე
	n					

მწველი	r	0.1837	0.242*	-0.0254	-0.0676	-0.1471
	p	0.0548	0.0109	0.7921	0.4827	0.1252
დისლიპიდ ემია	r	0.0515	0.209*	-0.1566	-0.0086	.225*
	p	0.5930	0.0286	0.1023	0.9291	0.0182
დიაბეტი	r	0.221*	0.0345	0.1022	-0.0533	0.1788
	p	0.0204	0.7202	0.2881	0.5800	0.0616
თირკმლის უკმარისობ ა	r	.352**	0.1705	0.1599	-0.0751	-0.0416
	p	0.0002	0.0749	0.0952	0.4357	0.6663
ფქოდ	r	0.386**	0.241*	0.333**	0.0000	-0.0681
	p	0.0000	0.0114	0.0004	1.0000	0.4797
არტერიულ ო ჰიპერტენზ ია	r	0.272**	0.198*	0.1263	0.0705	0.1847
	p	0.0041	0.0383	0.1884	0.4643	0.0534
გადატანი ლი მმი	r		0.460**	0.395**	-0.0873	-0.0098
	p		0.0000	0.0000	0.3645	0.9194
გადატანი ლი PCI	r			-.293**	-0.1336	-0.0884
	p			0.0019	0.1640	0.3582
გადატანი ლი შუნტირება	r				0.1191	0.1755
	p				0.2154	0.0666

ფიზრილაც ია სტენტირებ ამდე	r					.374**
	p					0.0001

ცხრილი 3.21

კორელაციები სისხლძარღვების დაზიანების ლოკალიზაციას, ჩარევასა და სტენტირების გამოსავალსა და გართულების პრედიქტორებს შორის

	n	LDA	CX	RA	მრავალ სისხლძა რღვოვა ნი დაზიანე ბა	პირდაპ ირი სტენტი	ანგიოპლ ასტიკა+ს ტენტი
მწვეელი	r	0.0300	0.271**	-0.230*	-0.0792	0.0094	-0.0893
	p	0.7561	0.0042	0.0155	0.4107	0.9227	0.3535
დისლიპიდე მია	r	-0.0215	-0.0885	0.1130	0.0036	-0.0332	0.0642
	p	0.8232	0.3581	0.2399	0.9699	0.7308	0.5049
დიაბეტი	r	0.1751	-0.0437	0.255**	0.1616	-0.1475	.246**
	p	0.0674	0.6506	0.0072	0.0916	0.1241	0.0097
თირკმლის უკმარისობა	r	0.0090	0.0236	0.197*	0.232*	0.0072	0.1605
	p	0.9259	0.8071	0.0393	0.0149	0.9404	0.0939
ფკოდ	r	0.0516	0.0782	0.1466	0.0872	0.0605	-0.0962
	p	0.5921	0.4168	0.1265	0.3652	0.5302	0.3173

არტერიული ჰიპერტენზია	r	0.0867	0.1660	-0.0240	0.0755	-0.191*	.248**
	p	0.3676	0.0830	0.8036	0.4328	0.0457	0.0089
გადატანილი ი მმი	r	-0.0531	0.1260	0.1444	0.1446	-0.277**	.356**
	p	0.5815	0.1896	0.1324	0.1318	0.0034	0.0001
გადატანილი ი PCI	r	0.0671	0.0602	0.1083	0.238*	-0.292**	0.250**
	p	0.4862	0.5322	0.2602	0.0124	0.0020	0.0084
გადატანილი ი შუნტირება	r	0.0037	-0.0804	-0.0736	0.0542	-0.1030	0.1402
	p	0.9695	0.4035	0.4451	0.5740	0.2844	0.1439
ფიბრილაცია სტენტირება მდე	r	.199*	0.0080	-.228*	0.0605	-0.0160	-0.0324
	p	0.0369	0.9335	0.0168	0.5299	0.8682	0.7369
ჰიპოტენზია სტენტირება მდე	r	.380**	-.340**	0.0864	0.1316	-0.194*	0.1516
	p	0.0000	0.0003	0.3693	0.1705	0.0427	0.1138
LDA	r		-0.1144	-.210*	0.240*	-0.0067	-0.0745
	p		0.2340	0.0274	0.0117	0.9447	0.4390
CX	r			-.241*	0.194*	-0.1514	0.1655
	p			0.0113	0.0420	0.1145	0.0840
RA	r				0.259**	-0.0510	0.1344
	p				0.0063	0.5970	0.1615

მრავალსისხ ლმარღვოვან ი დაზიანება	r						-0.210*	0.226*
	p						0.0276	0.0174

ცხრილი 3.22

კორელაციები სტენტირების გამოსავალსა და გართულების პრედიქტორებს შორის

		სტენტი რების შემდეგ ნაკადი 1	სტენტი რების შემდეგ ნაკადი 2	სტენტი რების შემდეგ ნაკადი 3	პერიპრ ოცედუ რული ფიბრი ლაცია	პერიპრ ოცედუ რული ჰიპოტენ ზია	დისსექ ცია	სტენტ. თრომბ ოზი
მწვეელი	r	-0.0978	0.0491	-0.0040	-0.0351	-0.0426	-0.0255	-0.0301
	p	0.3095	0.6108	0.9671	0.7155	0.6585	0.7913	0.7550
დისლიპიდ ემია	r	0.0126	.231*	-.234*	-0.1059	0.0608	-0.1078	0.0588
	p	0.8961	0.0154	0.0141	0.2709	0.5283	0.2621	0.5415
დიაბეტი	r	-0.0196	-0.0437	0.0520	0.0704	0.0675	-0.0285	0.1086
	p	0.8392	0.6506	0.5893	0.4647	0.4836	0.7675	0.2588
თირკმლის უკმარისობ ა	r	0.1102	0.1232	-0.1718	0.0572	-0.0328	0.1605	0.0963
	p	0.2519	0.1998	0.0727	0.5528	0.7336	0.0939	0.3169
ფქოდ	r	-0.1132	-0.0174	0.0687	0.1029	-0.0590	-0.0137	-0.0608
	p	0.2389	0.8570	0.4759	0.2849	0.5402	0.8867	0.5282
არტერიულ ი ჰიპერტენზ ია	r	-.324**	0.0119	0.1356	.272**	-0.1777	-0.1064	-0.0176

	p	0.0006	0.9017	0.1577	0.0041	0.0633	0.2686	0.8549
გადატანილი მმი	r	-.236*	.273**	-0.1629	.200*	0.0106	.240*	-0.0957
	p	0.0131	0.0038	0.0890	0.0364	0.9123	0.0117	0.3202
გადატანილი PCI	r	-0.1471	0.0602	0.0074	0.0520	0.0170	-0.0833	0.0947
	p	0.1252	0.5322	0.9386	0.5898	0.8598	0.3867	0.3249
გადატანილი შუნტირება	r	-0.1505	.247**	-0.1759	.234*	-0.0877	.429**	-0.1438
	p	0.1167	0.0092	0.0661	0.0140	0.3622	0.0000	0.1339
